ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გურამ ამირხანაშვილმა დაადასტურა, რომ ტოიოტაში ძალით ჩასვეს

მცხეთის სასამართლოში შაქარაშვილის საქმის ოქროს მოწმე დაიკითხა

გვ.5



ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 2020 №206 (8470) ფასი: 60 თეთრი

„ოცნება“ აგონიაშია და მისი საქციელი წაგებული პარტიის ქმედებაა“

გვ.3

ხათუნა გოგორიშვილი: „თავმოყვარე ქვეყანაში ბონდო მძინარაშვილის იმპიჩმენტის საკითხი დადგებოდა“

„ოცნების“ ხედვაა, რომ საქართველო პატარა სოფელია და რა უნდა მას ნატოში“

გვ.3

„ამ პარლამენტმა მუშაობა სრული კრახით დაასრულა“

სოსო ცინცაძე: „დღეს პარლამენტში მხოლოდ საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის მიდიან, მიდიან იმისთვის, რომ კარგად იცხოვრონ, მიდიან იმისთვის, რომ ძმებმა, დებმა, ცოლებმა, სიდედრებმა ტენდერები მოიგონ“

გვ.4

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიცია მარტივი თემებით სპეკულირებს“

გია ხუხაშვილი: „სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გასაღები რუსეთსა და თურქეთშია“

გვ.2

მამუკა გიორგაძე: „პარლამენტში პოლიტიკა უნდა დავაბრუნოთ“

„ძველმა ბელადებმა თავი ამოწურეს, ახლების ლოდინს კი აზრი არა აქვს. ხალხი აქტიურად უნდა ჩაებას პროცესებში“

გვ.4

შინაგან საქმეთა მინისტრი ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

გვ.2

ISSN 1987-9385

2 ანდრია ჯაღმაიძე დავით გარეჯზე — წინა კომისია არაეფექტურად და საეჭვოდ მუშაობდა

6 ბაიდენი: „ტრამპი პუტინის ლეკვია“

5 „17 წლის გოგონა ტყეში ძალდატანებით წაიყვანა. სხეულზე ნაკაწრები ჰქონდა“ რა მოხდა წყალტუბოში

6 ილჰამ ალიევი: „ყარაბაღში ჩვენი დროშა აღვმართეთ და აქედან ვეღარავინ გაგვიყვანს“

ხაზარაძე, ჯაფარიძე, უსუფაშვილი, ნაცვლიშვილი

„ლელომ“ სია დაასახელა

გუშინ, 30 სექტემბერს, „ლელომ“ პროპორციული საარჩევნო სია წარადგინა. სიის პირველი ნომერი პარტიის თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძეა, მეორე – ბადრი ჯაფარიძეა, მას კი დავით უსუფაშვილი მოჰყვება.

კვოტირების წესების მიხედვით, პარტიის სიის ყოველი მეოთხე კანდიდატი ქალია. მათ შორის პირველი მეოთხე ნომრად ანა ნაცვლიშვილია.

„ლელოს“ პირველი ოცდაათეული ასე გამოიყურება:

1. მამუკა ხაზარაძე; 2. ბადრი ჯაფარიძე; 3. დავით უსუფაშვილი; 4. ანა ნაცვლიშვილი; 5. ირაკლი კუპრაძე; 6. ფიქრია ჩიხრაძე; 7. კახა კოჟორიძე;

8. გრიგოლ გეგელია; 9. ლევან კობერიძე; 10. საბა ბუაძე; 11. გიგლა მიქაუტაძე; 12. ლანა გალდავა; 13. თამაზ დათუნაშვილი; 14. ლევან სამუშია; 15. გიორგი მორდეხაშვილი; 16. მედეა მეტრეველი; 17. მამუკა კაციტაძე; 18. სოსო ვახტანგაშვილი; 19. სოფო შამანიდი; 20. გიორგი სიორიძე; 21. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი; 22. თამარ შავგულიძე; 23. გიორგი კანაშვილი; 24. ალექსანდრე ახვლედიანი; 25. ჯამბულ ხოზრევანიძე; 26. მურად მურადოვი; 27. ეკატერინე ქვლივიძე; 28. პაატა ცივაძე; 29. სოსო ლიპარტელიანი; 30. თამარ ბელქანია

– გუნდი, რომელიც „ლელომ“ წარადგინა, მზადაა, ხალხთან ერთად და ხალხისათვის იბრძოლოს ძირფესვიანი ცვლილებებისათვის ჩვენს ქვეყანაში – ასე მიმართა ეროვნულ მუზეუმში შეკრებილ მხარდამჭერებს პარტიის პირველმა ნომერმა და თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ.

ირაკლი კობახიძე: „ნიკანორ მელია, იმამ ყულიევი და კახა ოქრიაშვილი პროფესიონალ საარჩევნო პროვოკატორებად ჩამოყალიბდნენ“

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ირაკლი კობახიძის განცხადებით, გუშინ დაფიქსირდა კიდევ ერთი მძიმე პროვოკაცია, რომლის დროსაც მარნეულის შტაბის წევრ თემურ შუბითიძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. კობახიძის განცხადებით, თითოეული თავდამსხმელი უმკაცრესად დაისჯება.

– ჩვენ გვქონდა არაერთი შეხვედრა საერთაშორისო პარტნიორებთან, სადაც მათ ვესაუბრებოდით სიფრთხილის აუცილებლობაზე. ჩვენი მოლოდინი იყო, რომ უმძიმესი საარჩევნო რეიტინგების ფონზე რადიკალური ოპოზიციური პარტიები აუცილებლად შეეცდებოდნენ პროვოკაციების მოწყობას. ამის შესახებ ჩვენ ვაფრთხილებდით ჩვენს აქტივისტებსაც, მოვუწოდებდით მათ და ახლაც ყოველდღიურ რეჟიმში მოვუწოდებთ, არ აჰყვნენ უმძიმეს პროვოკაციებსაც კი. ამგვარი გაფრთხილებებით შევძელით არაერთი ინციდენტის თავიდან არიდება სხვადასხვა საარჩევნო ოლქში. სამწუხაროდ, პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად, რადიკალურმა ოპოზიციამ, რამდენიმე შემთხვევაში მაინც მოახერხა პროვოკაციების ინციდენტებში გადაზრდა, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე შეფასებით, აშკარაა, რომ პროვოკაციების მოწყობა რადიკალური ოპოზიციის სტრატეგიულ ამოცანად იქცა. კობახიძის თქმით, ისინი კვლავაც იმოქმედებენ იმ მეთოდებით, რომლითაც 2012 წელს ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდნენ.

– გვინდა, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ პროვოკაციების მოწყობის თვალსაზრისით ახლაც გამოირჩევიან ის კანდიდატები, რომლებიც უკვე წლებია, პროფესიონალ საარჩევნო პროვოკატორებად ჩამოყალიბდნენ. ესენი არიან, პირველ რიგში, ნიკანორ მელია და იმამ ყულიევი, რომელთა შესრულებით ჩვენ გასული წლების განმავლობაში, არაერთი უმძიმესი საარჩევნო პროვოკაციები ვიხილეთ. მძიმე პროვოკაციებით გამოირჩევიან კახა ოქრიაშვილის აქტივისტებიც, რამაც კიდევ ერთხელ გაგვიმყარა რწმენა, რომ „ქართული ოცნებიდან“ მისი ჩამოშორებით, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა უალტერნატივოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, – განაცხადა კობახიძემ.

მისი თქმით, მმართველი გუნდის მთავარი ამოცანა თავისუფალი, თანასწორი და მშვიდი არჩევნების ჩატარებაა. კობახიძის განმარტებით, თუ არ იქნება პროვოკაციები „რადიკალური ოპოზიციის“ მხრიდან, არჩევნები წარიმართება ისეთივე მშვიდ გარემოში, როგორც გასული თვეების განმავლობაში.

მან კიდევ კიდევ ერთხელ მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, „ინციდენტების აღკვეთისა და მომხდარ ინციდენტებზე რეაგირებისთვის“ კანონმდებლობის შესაბამისად ყველა ზომა მიიღონ.

– არც ერთი სამართალდარღვევა არ უნდა დარჩეს დაუსჯელი, განურჩევლად იმისა, თუ ვინ ჩაიდინა ეს სამართალდარღვევა, – განაცხადა კობახიძემ.

გია ხუხაშვილი: „სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გასაღები რუსეთსა და თურქეთშია“



ექსპერტი გია ხუხაშვილი დადებითად აფასებს საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველო მზადაა, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის მონაწილეთა შეხვედრას თბილისში უმასპინძლოს.

როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საქართველოს გაუჭირდება ამ თემის მედიაცია, რადგან აღნიშნული საკითხი ისეთი მსხვილი მოთამაშეების საქმეა, როგორებიც რუსეთი და თურქეთი არიან.

– თავისთავად ეს განცხადება მისასალმებელია, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს გაუჭირდება ამ თემის მედიაცია, რადგან უფრო მსხვილი მოთამაშეების საქმეა. ვფიქრობ, ამ კონფლიქტის გასაღები არის რუსეთსა და თურქეთში. ჩვენ შეგვიძლია, მოედანი შევთავაზოთ, მაგრამ სკეპტიკურად ვუყურებ საკითხს, რომ რამენაირად კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობა მივიღოთ. ტექნიკურად შეგვიძლია, ეს ფუნქცია ვიკისროთ, მაგრამ საკითხი უფრო დიდი მოთამაშეების საქმეა, – აცხადებს ხუხაშვილი.

მისი ვარაუდით, აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერები საქართველოს ხელისუფლების შეთავაზებას არ დათანხმდებიან. ის გამორიცხავს, რომ გარე პოლიტიკური ძალების ჩარევის გარეშე, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტებმა დიალოგი დაიწყონ.

– ასეთი კონფლიქტების მოგვარება დიდი მოთამაშეების მიერ ხდება. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის მოედანზე ჯერჯერობით ამ კონფლიქტთან დაკავშირებით აქტიური მოთამაშე რუსეთია, რომლის პროტექტორატის ქვეშ სომხეთი წლების განმავლობაში იყო და მეორე მხრივ – თურქეთი, რომლის ტანდემი აზერბაიჯანთან საყოველთაოდ ცნობილია. ევროკავშირს და აშშ-ს შეუძლია, შეშფოთდეს (შეშფოთება ბევრი იქნება), მაგრამ რეალურად კონფლიქტის შეჩერება მხოლოდ მათ შეუძლიათ. იმედი მაქვს, ომს ავცდებით. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის შედეგები სასარგებლო არ იქნება. რაღაც მომენტში კონფლიქტი შეჩერდება და, ალბათ, სამშვიდობო მისიას უნდა ვეღოდოთ – ან ექსკლუზიურად რუსულს, ან რუსულ-თურქულს. მე შეჩერების სხვა მექანიზმს ვერ ვხედავ. გამოვრიცხავ, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები დასხდებიან და ერთმანეთთან გარედან იძულების გარეშე საუბარს დაიწყებენ. ასეთი ზემოქმედება შეუძლია რუსეთს მოახდინოს სომხეთზე და თურქეთს – აზერბაიჯანზე. სხვა გასაღები არ არსებობს, – აცხადებს ხუხაშვილი.

მისი განცხადებით, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ვითარების ესკალაცია რუსეთის მიერ არის წაქეზებული.

– ვფიქრობ, ვითარების ესკალაცია რუსეთის მიერ არის წაქეზებული და ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ სომხეთმა ფაშინიანის მოსვლის შემდეგ, დაიწყო პროდასავლური საუბრები, დემოკრატიაზე მსჯელობა, რაც რუსეთს ძალიან არ მოეწონა. ვფიქრობ, რუსეთმა ამ კონფლიქტის პროვოცირებით გადაწყვიტა აჩვენოს ვერსია, რა შეიძლება დაემართოს სომხეთს იმ შემთხვევაში, თუ ისინი რუსეთის მფარველობაზე უარს იტყვიან. შესაბამისად, რუსეთის გეგმა ძალიან მარტივია – ერთი მხრივ, აზერბაიჯანის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდება, ის გარკვეულ ტერიტორიებს დაიბრუნებს, სომხეთს მოუწევს რუსეთის ორბიტაზე დაბრუნება და ეს ყველაფერი განხორციელდება შესაბამისი სამშვიდობო მისიის ორგანიზებით ახალ გამყოფ ხაზზე. სად გაივლის ეს ხაზი, არ ვიცი, – აღნიშნავს გია ხუხაშვილი.

როგორც ექსპერტი აღნიშნავს, თუ ვითარების ესკალაცია გაგრძელდება, ეს საქართველოზეც უარყოფითად აისახება. ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ შექმნილ სიტუაციაში ხელისუფლებას ძალიან დიდი სიბრძნე მართებს, რომ მინიმალური დანაკარგებით გამოვიდეს.

– ჩვენთვის ეს ყველაფერი ძალიან ცუდია, რადგან თუ რუსეთმა და თურქეთმა დაიწყეს აქტიური სამშვიდობო მისიის განხორციელება კავკასიის რეგიონში, ეს ჩვენთვის ძალიან პრობლემატური იქნება. ძალიან დიდი სიბრძნე მართებს დღეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი განვითარების ვექტორი, მინიმალური დანაკარგებით გამოვიდეთ ამ ყველაფრიდან და არ განვითარდეს ყველაზე ცუდი სცენარი, როდესაც მთელი რეგიონი ისევ ამ ორი ქვეყნის გავლენის არეალში აღმოჩნდება, – განაცხადა ხუხაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ოდირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ჯილიენ სტირკთან შეხვედრა გამართა.

მისიის ოფისი საქართველოს ხელისუფლების მოწვევით, 2020 წლის 25 სექტემბერს გაიხსნა ქალაქ თბილისში. მისი მიზანია 2020 წლის 31 ოქტომბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვება.

ვახტანგ გომელაურის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ამოცანაა ქვეყნის მასშტაბით მართლწესრიგის დაცვა და არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ, უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფა და ამ მიზნით სამინისტრო აქტიურად არის ჩართული საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებელ პროცესებში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროს მიერ ამ კუთხით უკვე განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე, კერძოდ:

– განახლებული რედაქციით დამტკიცდა საარჩევნო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც სამინისტროს სისტემის ყველა მოსამსახურისთვის სავალდებულოა შესასრულებლად;

– არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების ხელშეწყობისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის შემუშავდა ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული რეკომენდაციები;

შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში, პოლიციის დეპარტამენტების სამოქმედო ტერიტორიებზე შეიქმნება სამართალდარღვევების პრევენციისა და მათზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი ჯგუფები, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში უკვე მიმდინარეობს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფების მოსამსახურეების ონლაინტრენინგი არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე.

კახა ოქრიაშვილი: „ცოტა ხანში „ოცნებიდან“ გახარიას გააგდებენ, აი, ნახავთ“

კახა ოქრიაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ გიორგი გახარიას „ქართული ოცნებიდან“ გააგდებენ.

– მარტო მორჩილი გრძნობს იქ თავს კარგად. შესაძლებელია, რამდენიმე კაცი კიდევ დარჩა და მომავალში ისინი არ უხდებიან იმ გუნდს და მომავალში მათაც გააგდებენ. გარწმუნებთ, პირველს გააგდებენ გიორგი გახარიას. აი, არჩევნების შემდეგ პირველს მაგას გააგდებენ, აგერ ჩემი პროგნოზი და ნახეთ. ისიც ჩემნაირად არ უხდება მაგ გუნდს და არჩევნების შემდეგ მაგასაც გაუშვებენ ცოტა ხანში.

ანდრია ჯაღმაიძე დავით გარეჯზე — წინა კომისია არაეფექტურად და საეჭვოდ მუშაობდა



საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის, მამა ანდრია ჯაღმაიძის განცხადებით, დავით გარეჯის მიწებთან დაკავშირებით, საზღვრის სადემარკაციო-სადელიმიტაციო საკითხზე, წინა კომისია „ძალიან საეჭვოდ მუშაობდა“.

ჯაღმაიძის თქმით, ძველი კომისიის მუშაობის შედეგად ყველა სადავო საკითხი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის საქართველოს საწინააღმდეგოდ გადაწყდა.

– ძველი კომისია, რომელიც მუშაობდა, მუშაობდა არაეფექტურად და ჩვენ ვამბობდით, რომ საეჭვო დასკვნები დადო იმ კომისიამ და როგორც იკვეთება პროკურატურის განცხადებიდან, სწორედ ამ საკითხს ეხება ეს ძიება. სანამ პროკურატურა გააკეთებდა განცხადებას, მთელი წელი ვამბობდით, რომ წინა კომისია, რომელიც ახლა, მადლობა ღმერთს, შეცვლილია, მუშაობდა ძალიან საეჭვოდ, – ამბობს საპატრიარქოს პრესსპიკერი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ აგონიაშია და მისი საქციელი წაგებული პარტიის ქმედებაა“

ხათუნა გოგორიშვილი: „თავმოყვარე ქვეყანაში ბონდო მძინარაშვილის იმპიჩმენტის საკითხი დადგებოდა“

იაგო ნაცვლიშვილი

საარჩევნო კამპანიაში მუშტი-კრივი გრძელდება. 29 სექტემბერს ეპიცენტრში მარნეული იყო. დაპირისპირების დროს ცემეს ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტებიც. ფიზიკურად გაუსწორდნენ „მთავარი არხის“ ჟურნალისტს, რომელიც იხსენებს, რომ მას მინიმუმ 5-6 ადამიანი ურტყამდა. ასევე სცემეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორსაც, რომელსაც კამერაც დაუზიანეს. ინციდენტში მონაწილეობდა საკრებულოს თავმჯდომარეც. ამის მიუხედავად ხელისუფლების წარმომადგენლები არათუ ძალადობას არ გმობენ, არამედ ხელს ოპოზიციისკენ იშვერენ და მომხდარს დაგეგმილ პროვოკაციას უწოდებენ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „ქართული ოცნება“ დამარცხებისკენ მიდის და რა გარანტია არსებობს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ეს დამოკიდებულება შეიცვლება? — ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა გოგორიშვილი საუბრობს.

— ბოლო დღეებში რაც ხდება საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, ეს რაზე მიანიშნებს? „ქართული ოცნება“ უკვე დამარცხებისკენ მიდის?

— ეს არის აგონიაში მყოფი ხელისუფლების მოქმედება და სხვა არაფერი. იმდენად დარწმუნებული არიან, რომ აგებენ არჩევნებს, რაც არ უნდა იძახონ, რომ ეს კვლევები, ის კვლევები... თავის თავს ხომ არ მოატყუებენ?! თვითონ ხომ იციან, რომ არჩევნებს აგებენ?! ეს არის წაგებული პარტიის ქმედება.

— ამ ყველაფერს ეძახიან პროვოკაციებს და გვესმის ასეთი განცხადებები მისი ლიდერებისგან. ამაზე როგორია თქვენი შეფასება?

— აბა, რას იტყვიან? იმას ხომ არ იტყვიან, ეს ჩვენი ბრალიაო? ეს არის ჩვეულებრივი ამბავი, როდესაც სრულიად უკანონობას ჩადიხარ, როდესაც ყოველგვარი კანონისა და მორალის მიღმა ხარ გასული და ეს ქმედება რაღაცნაირად უნდა ახსნა, რომ ეს იყო პროვოკაცია, რომ ეს არ იყო შენი ბრალი და ეს არის სხვისი ბრალი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჟურნალისტებზე ძალადობაზე თავდასხმა რომ არ დაგმეს, ეს არის ერთადერთი რამის მაჩვენებელი, რომ მიდიან.

— ეს არის „ქართული ოცნების“ ლიდერშიპიდან წახალისებული ან დაგეგმილი მის მიერ?

— საკრებულოს თავმჯდომარე როდესაც თვითონ ურტყამს სახეში სამოქალაქო აქტივისტ გიორგი მუმლაძეს, ეს რას ნიშნავს?! არ აქვს მნიშვნელობა, ვის გაარტყამს საკრებულოს თავმჯდომარე, მაგრამ, როდესაც ასეთ ქმედებას ჩადის, ამას რა უნდა დავარქვათ?! მით უმეტეს, რომ სამოქალაქო აქტივისტი აკვირდება პროცესს და უნდა დაწეროს ანგარიში, როგორ მიმდინარეობდა საარჩევნო პროცესი. საკრებულოს თავმჯდომარე თუ არ არის „ოცნების“ წარმომადგენელი, აბა, ვინ არის?! ამას კიდევ რა ემატება, იცით და რა არის მთავარი? „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან ძალადობა არავის დაუგმია, რაც წახალისებაა და ეს არის „მიდით, ბიჭებო, ყველაფერს „გავაპარავებთ“.

— ეს ახლა დაიწყო თუ ეს არის ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს „ქართული ოცნება“ მთელი ამ 8 წლის განმავლობაში?

— საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრ ბონდო მძინარაშვილის პოსტით დავიწყებ ამ კითხვაზე პასუხს, რომელიც ამბობს, ვის უკვირს ასეთი კამპანიაო. როდესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრი ამას ამბობს, პირდაპირ მისი იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს, ჩვენ რომ ნორმალური და თავმოყვარე ქვეყანა ვიყოთ. როგორ შეიძლება ასეთი კომენტარის გაკეთება?!

ის, რომ ოდესღაც იყო, ის, რომ ადრე იყო, ეს ნიშნავს, რომ სულ ასეთ ჭაობში უნდა ვიყოთ და აღარ უნდა ამოვიდეთ ამ ჭაობიდან?! როგორ შეიძლება ამ არგუმენტის მოყვანა, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი, იმიტომ, რომ მე პირადად და ამ ქვეყანაში მცხოვრებ აბსოლუტურ უმრავლესობას უნდა არა არსებულ ჭაობში ყურება ან უკან ყურება, არამედ წინ წასვლა და მომავალზე ორიენტაციის გაკეთება.

— რა გარანტია გვაქვს ამომრჩევლებს, რომ თქვენც, ოპოზიციაც, იმავეს არ გაიმეორებთ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, რადგან ათწლეულებია, ამ მანკიერ წრეში ვტრიალებთ?

— ახლა თქვენც ბონდო მძინარაშვილივით ლაპარაკობთ, წლებიაო. არ მაინტერესებს, რა იყო, ვილაპარაკოთ, რა არის დღეს და რა გვინდა, იყოს ხვალ.

— სწორედ ხვალ რაც გვინდა, მაგაზე ვსვამ კითხვას, რა გარანტია გვაქვს-მეთქი, რომ თქვენც იმავეს არ გაიმეორებთ?

— ეს უნდა შეიცვალოს. ზუსტად მაგას ვამბობთ, რომ ცვლილება არის ის, რაც სჭირდება საქართველოს და რასაც ითხოვს საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა. უნდა შეიცვალოს სტერეოტიპები, უნდა შეიცვალოს დამკვიდრებული ტრადიციები, უნდა შეიცვალოს ის, რასაც ჰქვია ჩვენთან საარჩევნო გარემო.

არ შეიძლება, ადამიანს ეშინოდეს საარჩევნო უბანზე მისვლის იმიტომ, რომ მის შვილს ან ოჯახის სხვა წევრს სამსახურიდან მოხსნიან. არ შეიძლება, ადამიანს ეშინოდეს საარჩევნო უბანზე მისვლის იმიტომ, რომ ფოტოს გადაღებას სთხოვს თავისი ხელმძღვანელი ან მეზობელი, რომელიც ემუქრება მას. ზუსტად ეს უნდა შეიცვალოს. ამაზე ვლაპარაკობთ ჩვენ, „ევროპული საქართველო“. არც უკან უნდა გავიხედოთ და არც დღევანდელ ჭაობში დავრჩეთ. უნდა შევცვალოთ ეს ქვეყანა და შევცვალოთ უკეთესობისკენ.

— ბევრი ასეთი საქმე დაგროვდა, რომლებიც გამოძიებული არ არის. ამჯერად გაქვთ იმედი, რომ გამოძიება ბოლომდე მივა?

— რა თქმა უნდა, არა. სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, არც ერთ საქმეზე გამოძიება ბოლომდე არ მივა. სამართალდამცავები პირდაპირ ემორჩილებიან პოლიტიკურ ნებას. როგორც კი შეიცვლება ხელისუფლება, შეიცვლება სამართალდამცავების დამოკიდებულებაც. სამართალდამცავ უწყებებში ძალიან ბევრი პროფესიონალია, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ასრულებენ პოლიტიკურ დაკვეთას. როდესაც არ იქნება პოლიტიკური დაკვეთა, სიტუაციაც შეიცვლება.

— თითოეულ ასეთ ფაქტს გამოიძიებთ, როდესაც თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში?

— აუცილებლად. ოღონდ უნდა გამოიძიოს ნორმალურმა და სამართლიანმა სასამართლომ. დღევანდელი სასამართლო და დღევანდელი მოსამართლეები თუ დარჩნენ, მაშინ არაფერი შეიცვლება. ზუსტად ეგ არის საქმე. ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი სწორედ დამოუკიდებელი სასამართლოს თემა და ნაფიცი მსაჯულებია. როდესაც საქმეებზე გადაწყვეტილებას ისინი მიიღებენ, მაშინ ვითარება შეიცვლება. ხალხმა ყველაზე კარგად იცის, სად თეთრია და სად

„ოცნების“ ხედვაა, რომ საქართველო პატარა სოფელია და რა უნდა მას ნატოში“

— შავი, ვინ მტყუანია და ვინ — მართალი.

— ხელისუფლება თავისი ამ ქმედებებით ქვეყნის მომავალს ხომ არ აყენებს ჩრდილქვეშ და ხომ არ უქმნის საფრთხეს, თუნდაც რასმუსენის განცხადებიდან რომ გამოვიდეთ, როდესაც ნატოს წევრობის პერსპექტივას სამართლიანად ჩატარებულ არჩევნებსაც უკავშირებს?

— ხელისუფლებას არ აინტერესებს არც ქვეყნის აწმყო და არც მომავალი, მით უმეტეს, თუ ეს მომავალი ნატოს უკავშირდება. ძალიან კარგად ვიცით, რომ „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით არაფერს გააკეთებს ისეთს, რომ რუსეთი გააბრაზოს. ყველაზე მეტად, რაც ჩვენ ჩრდილოელ მეზობელს გააბრაზებს, არის ის, რომ საქართველო გახდეს ნატოს წევრი. ეს არის თანმიმდევრული პოლიტიკა, რომ რაც შეიძლება შორს ვიყოთ ნატოსგან, რაც შეიძლება გავქრეთ მსოფლიო გეოპოლიტიკური დღის წესრიგიდან.

გაიხსენეთ, ამ 8 წლის განმავლობაში ოკუპაცია, რუსეთი, ევროატლანტიკური ინტეგრაცია რომელიმე საერთაშორისო ფორუმის დღის წესრიგში დამდგარიყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი ცდილობენ ამის საწინააღმდეგო ქმედებებს.

ივანიშვილმა თავისი მმართველობის დასაწყისში თქვა კიდეც, რომ არ შეიძლება, საქართველო იყოს რუსეთთან დაძაბულობის მიზეზი, ევროპისა და რუსეთის დაძაბულობის მიზეზი. მათი დამოკიდებულებაა, რომ საქართველო ერთი პატარა სოფელია და რა უნდა პატარა სოფელს ნატოში — ეს არის „ქართული ოცნების“ ხედვა.

„ამ პარლამენტმა მუშაობა სრული კრახით დაასრულა“

სოსო ცინცაძე: „დღეს პარლამენტში მხოლოდ საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის მიდიან, მიდიან იმისთვის, რომ კარგად იცხოვრონ, მიდიან იმისთვის, რომ ძმებმა, დებმა, ცოლებმა, სიდედრებმა ტენდერები მოიგონ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, მე-9 მოწვევის პარლამენტმა მუშაობა დაასრულა. რეტროსპექტივაში როგორ შეაფასებდით ამ მოწვევის პარლამენტის მუშაობას, რას გამოყოფდით?

— ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში მე-9 მოწვევის პარლამენტი ყველაზე უინტერესო და არაინტელექტუალური იყო. თუ შევადარებდი 2012 წლის მოწვევის პარლამენტს, რომლის თავმჯდომარეც დავით უსუფაშვილი გახლდათ, განსხვავება იქნებოდა, როგორც ცა და დედამიწა.

თუ იყო მრავალპარტიული პარლამენტი, ეს იყო მაშინ. ასევე გამოვყოფდი დეპუტატებს, მაგალითად, ვახტანგ ხმალაძეს, რომელიც მე-9 მოწვევის მთელ პარლამენტს უდრის. გამოვყოფდი ძმებ ბერძენიშვილებს.

რატომ გამოვყოფ კონკრეტულ ადამიანებს?! მხოლოდ იმიტომ, რომ აღვნიშნო, რაც უფრო მყარად დგას თავისი ინტელექტით ადამიანი, მით უფრო დამოუკიდებელია, მით უფრო ხორკლიანია და ნაკლებ მორჩილია ვიღაცის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — მმართველის. ეს არის დემოკრატია. ვერ წარმომიდგენია, ძმებ ბერძენიშვილებს ივანიშვილის დავალებით ხმა მიეცათ რომელიმე კანონისთვის, თუ თვითონაც არ თვლიდნენ საჭიროდ.

მე-9 მოწვევის პარლამენტმა, სამწუხაროდ, სრული კრახით დაასრულა მუშაობა. ამას ხელი შეუწყო თუნდაც იმ პროცესებმა, რომლებიც მმართველ პარლამენტში განვითარდა, როდესაც რამდენიმე ინტელექტუალმა დატოვა „ქართული ოცნება“, თუმცა, აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არც უმცირესობა გამოირჩეოდა დიდი კორიფეებითა და ინტელექტუალებით. მოკლედ რომ შევაფასო ეს პარლამენტი, შემიძლია გითხრათ, რომ ეს იყო პოლიტიკისგან სრულიად დაცლილი პარლამენტი.



— რომელ კანონს გამოყოფდით, რომელიც მიიღო ამ პარლამენტმა? კობახიძემ კონსტიტუციის რეფორმას წარმატებული უწოდა.

— საკონსტიტუციო ცვლილებებსა და იმ პერიპეტიებზე, რომლებიც ამ პროცესს ახლდა, საერთოდ არ ვისაუბრებ, რადგან მკითხველმა მშვენივრად იცის ყველა დეტალი. კობახიძეზე კი ვიტყვი, პარლამენტის ისეთი თავმჯდომარეები გვყავდა, თუნდაც უსუფაშვილის შემდეგ კობახიძე კარიკატურა იყო. პარლამენტის თავმჯდომარე, ყველაფერთან ერთად, კარგი დიპლომატიც უნდა იყოს. ცეცხლზე ნავთის დასხმა არ არის პარლამენტის თავმჯდომარის საქმე. უსუფაშვილი არასდროს აძლევდა თავს ნებას, უკმეხად მოეხსენიებინა ოპოზიცია. კობახიძე ოდნავ შანსს არ ტოვებდა, რომ ოპოზიციისთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა. ხანდახან უზრდელობაშიც კი გადადიოდა მისი რიტორიკა. ეს სრულიად მიუღებელი იყო. თუმცა ეს უკვე წარსულია, მაგრამ წარსული, რომელიც არ იშლება. ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაა.

რაც შეეხება მიღებულ კანონებს, კანონს რომ იღებ, ის პრაქტიკაში ჩანს, კარგია თუ ცუდი. დროა საჭირო. ტაშ-ფანდურით მიღებულმა კანონმა, შეიძლება, ვერ იმუშაოს და პირიქითაც შეიძლება მოხდეს.

— როგორი იქნება მე-10 მოწვევის პარლამენტი? უკვე ცნობილია საარჩევნო სიები, კანდიდატები.

— ნებისმიერ შემთხვევაში ერთი რამის თქმა შემიძლია: ყოველი წინა პარლამენტი უკეთესია, ვიდრე ახალი. ეს არის სამწუხარო რეალობა. არადა, წინ უნდა მივდიოდეთ, უკეთესისკენ, თან ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის კანდიდატები, რომლებიც დასახელებული არიან ერთ თუ მეორე მხარეს. ამას წინათ ერთ-ერთი დეპუტატი უმრავლესობიდან ამაყად აცხადებდა, დეპუტატის საქმე წერა კი არა, მუშაობაა! ამას კანონმდებელი რომ იტყვის, იმ პარლამენტსა და დეპუტატებზე საუბარი უკვე ზედმეტია.

წარმოუდგენელია, ეს ეთქვა, მაგალითად, პარლამენტის წევრ მიხო ნანეიშვილს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი მეგობარი იყო. ერთხელ სახლში მოვიდა და მითხრა: შევარდნაძე პარლამენტის წევრობას მთხოვს. მე ვუთხარი, იმ შემთხვევაში დაგთანხმდებით, თუ ჩემს პრინციპებს თქვენ დასთანხმდებით-მეთქი. მიხომ მართლაც ჩამოწერა თავისი პრინციპები და შევარდნაძეს გაუგზავნა. ამ მაგალითს იმიტომ ვიხსენებ, რომ ნათელი იყოს, როგორ არჩევდა შევარდნაძე სათითაოდ პარლამენტის წევრებს.

პარლამენტზე ვსაუბრობთ და არ შეიძლება არ გავიხსენო ივლიანე ხაინდრავას გამოსვლა, როდესაც საქართველო დსთ-ში შევიდა. ივლიანე ხაინდრავასა და ელდარ შენგელაიას მაშინდელი დებატები დაუვიწყარი იყო. ეს იყო პოლიტიკური გამოსვლის ბრწყინვალე მაგალითი, არ მომერიდება ამ შეფასების, შედევრი!

ეს პოლიტიკოსები მახსენდება, როდესაც ახლანდელ დეპუტატებს ვუყურებ. ასევე მახსენდება ე.წ. იმელის პარლამენტი. ამ ფონზე ამ მოწვევის პარლამენტზე საუბარი პოლიტიკურ ჭრილში სრულიად წარმოუდგენელია, რადგან საერთოდ რასაც ვუყურებთ, პოლიტიკა არ არის. არადა, ვსაუბრობ იმ პერიოდზე, როდესაც სახელმწიფო ლამის არ არსებობდა. ვსაუბრობ 90-იანი წლების გაჩანაგებულ, გავერანებულ, გაღატაკებულ, დანგრეულ, დაცლილ საქართველოზე.

დღეს პარლამენტში მხოლოდ საკუთარი ბიზნესის ლობირებისთვის მიდიან, მიდიან იმისთვის, რომ კარგად იცხოვრონ, მიდიან იმისთვის, რომ ძმებმა, დებმა, ცოლებმა, სიდედრებმა ტენდერები მოიგონ. ერთხელ შევარდნაძემ მითხრა, ვუჩოქებ ამ მეცნიერებს, რომ პარლამენტში წავიდნენო. ახლა დამისახელეთ ერთი კანდიდატი მაინც, რომელსაც ივანიშვილმა დაუჩოქა, რომ დეპუტატი გახდეს?! საოცარია, მაგრამ რეალობაა. ლამის სახელმწიფო არ გვქონდა, მაგრამ პარლამენტი იყო, პოლიტიკა იყო ქვეყანაში. ის პარლამენტი ათი თავით მაღლა იდგა თავისი ინტელექტუალური პოტენციალით ამ პარლამენტზე, რომელიც მკვდრად შობილივით იყო.

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტმა მუშაობა დაასრულა

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტმა გუშინ, 30 სექტემბერს, არჩევნებამდე ბოლო პლენარული სხდომა გამართა.

რეგლამენტის თანახმად, პარლამენტმა პლენარული სხდომების გამართვა არჩევნებამდე ერთი თვით ადრე უნდა შეწყვიტოს.

აღსანიშნავია, რომ გუშინდელ სხდომაზე პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები დაამტკიცა, რომელიც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შერჩევის წესს შეეხება.

მე-9 მოწვევის პარლამენტი მუშაობას 2016 წლის 18 ნოემბერს შეუდგა. საკანონმდებლო ორგანომ 4 წლის განმავლობაში ორი თავმჯდომარე გამოიცვალა. თავდაპირველად პარლამენტს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე ხელმძღვანელობდა, თუმცა 2019 წლის ივნისის მოვლენებისა და ე.წ. გავრილოვის ღამის შემდეგ მან თანამდებობა დატოვა და პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი მმართველი გუნდიდან არჩილ თალაკვაძემ გადაიბარა.

მე-9 მოწვევის პარლამენტმა მიიღო არაერთი კანონპროექტი, რომელთა შორისაა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები, რითაც ქვეყანა დიდწილად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავიდა.

„ოპოზიცია მარტივი თემებით სპეკულირებს“

თორნიკე შარაშენიძე: „ერთ თვეში „ოცნებას“ ისეთი კატასტროფა არ დაემართება, რომ არჩევნები წააგოს. აქ მთავარი შეკითხვაა, არჩევნების მერე რა გველის?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, ბოლო პერიოდში საგრძნობლად დაიძაბა პოლიტიკური ფონი. უკვე სახეზეა ფიზიკური დაპირისპირებები მომხრეებს შორის. ვისმენთ შეფასებებს, რომ დღეს ყველაზე ცხელ წერტილს წარმოადგენს ბოლნისი-მარნეული. კიდევ თუ ელით სიტუაციის დაძაბვას და რამდენად მიდის ოპოზიცია ან ხელისუფლება პროვოკაციაზე?

– მიჭირს იმის თქმა, ვინ უფრო მიდის პროვოკაციაზე და ძალადობაზე. ზოგადად, ბოლნისსა და მარნეულში, მოგეხსენებათ, ყოველთვის ასეთი სიტუაცია იყო არჩევნების წინ და, სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა, როგორც ჩანს.

– რატომ არის ეს მხარე ყოველთვის ცხელი წერტილი?

– იქ ყოველთვის ძლიერი პოზიციები ჰქონდა ნაცმოძრაობას და შესაბამისად უნდა, რომ ეს ძლიერი პოზიციები გადაიტანოს საპარლამენტო არჩევნების მოგებაში. თავისთავად ცხადია, მმართველი გუნდი ამას ხელს უშლის და, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი გადადის მუშტი-კრივსა და ცემა-ტყეპაში. მერე, ბუნებრივია, ორივე მხარე ამას გამოაცხადებს მეორე მხარის პროვოკაციად. რას ვიზამთ. კიდევ ერთი თვე დაგვრჩა, მერე, იმედია, დავისვენებთ.

– ელით, რომ კიდევ უფრო გამწვავდეს ვითარება?

– არა, ისეთ სასწაულს არაფერს ველი.

– ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებია უკვე...

– კი გასაგებია, მაგრამ რა არის ამაში ახალი, რაც წინა სხვა არჩევნებზე არ ყოფილა?! ამით ვეღარ გაგვაოცებენ. კი, გვინდა მშვიდი და უკეთესი ცხოვრება, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე მალე არ მოდის.

– ოპოზიცია ხელისუფლებას აბრალებს, რომ ის მიზანმიმართულად მიდის ანგარიშსწორებისკენ, ის დაადგა ასლან აბაშიძის გზასო.

– ოპოზიციამ გუშინ დააანონსა, რომ წაგებული აქვს ივანიშვილს არჩევნები, სასოწარკვეთილია და ძალადობაზე გადავიდაო, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არ არის სწორი. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ მშვენიერი შანსები აქვს „ოცნებას“ მოგების. თუ იქ რაღაცა მოხდა, მე მგონი, ეს ადგილობრივი ინიციატივა იყო, ადგილობრივი კუნთმაგარი ვაჟკაცების და არა ივანიშვილის სასოწარკვეთილების შედეგი.

– ანუ არ აქვს „ოცნებას“ ისე ცუდად საქმე, რომ პროვოკაციებზე წავიდეს?

– არა, წესით, ეს არაფერში სჭირდება. ერთია ის, რომ დაამტკიცოს, ძლიერია და ძალის დემონსტრირება მოახდინოს, მაგრამ, ეს თუ ჩხუბსა და ძალადობაში გადავიდა, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს „ოცნებას“ აზიანებს. იმედია, დამშვიდდებიან და მსგავს რაღაცას აღარ ჩაიდენენ, ადგილობრივ დონეზე მაინც.

– პრემიერის ვიზიტი გრძელდება ევროსტრუქტურებში, რა გამოხმაურებებსა და რა შედეგს ელით. არჩევნებამდე ეს რამდენად მნიშვნელოვანი იყო?

– ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ დაეფიქსირებინათ, აი, საქართველო ადგას პროდასავლურ, პროატლანტიკურ კურსს, მით უმეტეს, რომ ბოლო რვა წელია, ჩაგვესმის ეს პრორუსული „ოცნება“, რაც რეალურად აღმოჩნდა ძალიან არაეფექტური ოპოზიციისთვის. რადგან აშკარაა, რომ ამომრჩევლის ნაწილს ეს არ სჯერა ელემენტარულად, რომ ეს მთავრობა პრორუსულია, ნატოს კიდევ საერთოდ არ აინტერესებს. პლუს ამას, ამის არანაირი დამამტკიცებელი საბუთი არ ჩანს, ამ სპეკულაციების გარდა, რომ ვიღაცა ვიღაცას შეხვდა მოსკოვში, არიქა, ხშირად დაფრინავს უჩა მამაცაშვილი, ამის არანაირი საბუთი არ ჩანს. სამაგიეროდ, ჩანს, რომ ტარდება ნატოსთან ერთობლივი წვრთნები და ასე შემდეგ. ამიტომ ეს ყველაფერი მაინც რჩება სპეკულაციებად და ჯობდა მთელი ეს პერიოდი, ოპოზიცია გადასულიყო უფრო რეალურ თემებზე, სადაც აქვს აშკარა ჩავარდნები „ოცნებას“.

– კერძოდ?

– ეს არის, პირველ რიგში, ეკონომიკა, განათლების რეფორმის კატასტროფაა და ასე შემდეგ. აი, ამაზე უნდა გაეკეთებინა აქცენტები, უფრო რეალურ პრობლემებზე, რომლებსაც ხალხი უფრო გრძნობს, რომლებსაც უფრო მძიმე შედეგი მოაქვს, ვიდრე ამ პროვოკაციებსა და სპეკულაციებს რუსულ თემაზე.

– შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციამ სათანადოდ ვერ წარმოაჩინა თავი?

– რა თქმა უნდა, ვერ წარმოაჩინა. იოლია ასეთ თემებზე სპეკულირება. როგორც ჩანს, სხვა თემებზე მსჯელობას უფრო ჩაღრმავება, თემების შესწავლა სჭირდება. მე ვერ ვხედავ ამის ნიშანს, რომ ისინი უღრმავდებიან სხვა თემებს. მაგალითად, გაარკვიონ, რა პრობლემაა განათლების სფეროში, სადაც მართლაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა, ან გაარკვიონ, რა ფუნდამენტური პრობლემები აქვს ლარს, რამდენად საშინაო ან საგარეო ფაქტორებით იყო გამოწვეული ეს ყველაფერი და ისაუბრონ დასაბუთებულად, ისე, რომ ხალხმა გაიგოს პრობლემის არსი.

– მარტივი თემებით სპეკულირებენ?

– სამწუხაროდ, ასეა. 8 წელი გავიდა და ფაქტია, ამან არანაირი შედეგი არ მოიტანა, გარდა იმისა, რომ გარედან რომელიმე კონგრესმენმა მოიწეროს წერილი, აი, ეს რუსი ოლიგარქი, ივანიშვილი და ამით მთავრდება ყველაფერი. ეს არაფერს ცვლის.

– ოპოზიცია ერთხმად აცხადებს, რომ „ოცნება“ უკვე დასრულებულია, მისი შანსები ნულის ტოლია. ასეა?

– ეს სისულელეა. ერთი თვე დარჩა. ერთ თვეში „ოცნებას“ ისეთი კატასტროფა არ დაემართება, რომ არჩევნები წააგოს. აქ მთავარი შეკითხვაა, არჩევნების მერე რა გველის?! მე, ბუნებრივია, მაწუხებს ქვეყნის ბედი და არა „ოცნების“. თუ გავუმკლავდით ეკონომიკურ კრიზისს და გამოვძვერით, რომელიც გველოდება ყველა ვარიანტში, თუ ვერ გამოვძვერით, ამას „ოცნება“ საბოლოოდ მაინც გადაჰყვება. მთავარია, ქვეყანა არ გადაჰყვეს.

– ანუ საკმაოდ რთული პერიოდი ელის არჩევნების შემდეგ იმ ხელისუფლებას, რომელიც მოვა ქვეყნის სათავეში?

– კი ასეა. ამ არჩევნებამდე „ოცნება“, ცხადია, როგორმე მიატანს. მერე რა იქნება, აი, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი.

– ბატონო თორნიკე, როგორ აფასებთ იმ პროცესებს, რომლებიც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიმდინარეობს. სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირება რა ასახვას ჰპოვებს ჩვენს ქვეყანაზე?

– უკვე მესამე გამწვავებაა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. გამწვავება რეალურად გამოწვეულია იმით, რომ ბალანსი შეიცვალა. ადრე თუ იყო მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალები სომხეთი-აზერბაიჯანი, ახლა აზერბაიჯანი გაცილებით ძლიერია და ეს უნდა გამოიხატოს რაღაც ქმედებაში. აზერბაიჯანი ურტყამს სომხეთს, ართმევს რაღაც ტერიტორიას, მერე ჩერდება, ანუ ორთქლს გამოუშვებს აზერბაიჯანი, მისი მთავრობა, მისი ჯარი და წითელ ხაზთან როცა მიდის, ჩერდება. რუსეთი არ დაუშვებს იმას, რომ სანამ სომხეთში მისი სამხედრო ბაზა დგას და სომხეთი რეალურად არის მისი მოკავშირე, სომხეთი გადათელონ. როგორც კი აზერბაიჯანი წითელ ხაზს მიუახლოვდება, ალბათ, ეს გამწვავებაც დასრულდება. როგორც ჩანს, ჯერ არ წაუღია საკმარისი ტერიტორიები, რომ გაჩერდეს. მე ასე ვუყურებ ამ სიტუაციას.

– ჩვენზე რა გავლენას იქონიებს რს ყოველივე?

– რაც შეგვეხება ჩვენ, თუ ამ სცენარს იქით არ წავიდა მოვლენები და აზერბაიჯანი დროულად გაჩერდა, მაშინ არანაირი საფრთხე არ გველის, ხოლო თუ კონფლიქტი გაღრმავდა, მაშინ არის რამდენიმე მძიმე საფრთხე.

– კერძოდ, რა საფრთხე?

– პირველი: შესაძლოა, დაზიანდეს მილსადენები, რომლებზეც ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებული; მეორე: ეს არის ლტოლვილების ნაკადი და ესეც კატასტროფული სცენარია და კიდევ უფრო უარესი, რომ რუსეთმა მოითხოვოს ჩვენზე კორიდორი. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა, საქართველომ გააქტიუროს საერთაშორისო კავშირები და საქმეში სასწრაფოდ ჩართოს საერთაშორისო და სტრატეგიული პარტნიორები, რათა მათ მოახდინონ ზეწოლა რუსეთზე, რადგან მსგავსი რამ დაუშვებელია. ეს იქნება ძალიან მძიმე შედეგის მომტანი ჩვენთვის, ჩვენი სუვერენიტეტის სერიოზული შელახვა და, გარდა ამისა, კონფლიქტში რომელიღაც მხარეს ჩარევა. ეს დაუშვებელია, თუნდაც ძალა დაგვატანონ, მაინც დაუშვებელია. ძალიან მძიმე სცენარია ზოგადად რეგიონისთვის და ნებისმიერი გამწვავება ჩვენ გვირტყამს, ურტყამს ჩვენს ეკონომიკას, ჩვენს სტაბილურობას. სერიოზულ ეკონომიკურ ზარალს მოგვიტანს, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ.

მამუკა გიორგაძე: „პარლამენტში პოლიტიკა უნდა დავაბრუნოთ“

„ძველმა ბელადებმა თავი ამოწურეს, ახლების ლოდინს კი აზრი არა აქვს. ხალხი აქტიურად უნდა ჩაებას პროცესებში“

მარიამ მჭედლიშვილი

არჩევნებამდე ერთი თვე დარჩა. ბოლო დღეებში იმატა წინასაარჩევნო ძალადობამ. ერთმანეთს ფიზიკურად უსწორდებიან „ქართული ოცნებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ოპოზიცია აცხადებს, რომ მმართველ პარტიას არჩევნები წაგებული აქვს და ის აკრძალულ მეთოდებზე გადავიდა. ზუსტად ამავეს აღნიშნავენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის თავმჯდომარე მამუკა გიორგაძეს.



მამუკა გიორგაძე:

– ის, რაც ახლა ხდება, საქართველოში უკვე ათწლეულებია, გრძელდება. ეს საბჭოური პრაქტიკაა. არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის ნაშრომი „დაპირისპირებულთა ერთიანობა“. რას ნიშნავს ეს? მოთამაშეები თითქოს მძაფრად დაპირისპირებული არიან ერთმანეთთან, სინამდვილეში კი ერთმანეთს აძლიერებენ. დღეს ამ როლში არიან „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. ადრე სხვები იყვნენ. იყო დრო, როცა მთელი ყურადღება გადატანილი იყო იმაზე, დაიძვრებიან თუ არა ჩუმათელეთთან გაჩერებული ასლან აბაშიძის „აღორძინების“ ავტობუსები თბილისისაკენ, შემდეგ ვნახეთ შეხლა-შემოხლა სხვადასხვა ადგილას, მათ შორის, ბოლნისში. ეს ხდებოდა მაშინაც, როცა სააკაშვილი ოპოზიციაში აღმოჩნდა და შემდეგაც. ხალხი, რომელიც იმდროინდელი მოვლენების მონაწილე იყო, დღეს პოლიტიკაშია და დამკვიდრებულ ტრადიციებს აგრძელებს. მთავარია, რომ ნამდვილი პოლიტიკა ისევ განდევნილია და საზოგადოების ყურადღების მიპყრობას ცდილობენ სხვა საკითხებით. მთავარი თემებია, როგორი უნდა იყოს საშუალო ხელფასი და პენსია. ვიღაცა ხალხს დაჰპირდება 400-ლარიან პენსიას, ვიღაცა – 500-ლარიანს. არავინ, არც პარლამენტში და არც მის გარეთ არ ლაპარაკობს, როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი, რა ხდება ცხინვალის რეგიონში, ასევე, ჩვენ გარშემო, როგორი უნდა იყოს კანონმდებლობა.

– 2016 წლის მოწვევის პარლამენტმა მუშაობა დაასრულა. იყო ამ მოწვევის პარლამენტი წინამორბედებისაგან განსხვავებული?

– ეს პარლამენტიც უმაქნისი იყო, როგორც წინა წლების არაერთი პარლამენტი. ერთი ჯგუფი მეორეს განვლილ 9 წელს ახსენებდა, მეორე – განვლილ 8 წელს. პოლიტიკა საერთოდ განდევნილი იყო. არადა, პარლამენტი პოლიტიკის განმსაზღვრელია. გავიხედოთ, რა ხდება ჩვენ მეზობლად, რამდენი ხანია, აზვირთებულია მოვლენები ბელარუსში. ამ პარლამენტს ეს არ ეხებოდა. სტადიონზე ტრიბუნები რომ გაივსება, ფეხბურთი კი არ არის – აი, ამას ჰგავდა პარლამენტი. უმნიშვნელოვანეს პროცესებში გაურკვეველია საქართველოს როლი. არ ჩანს პოზიცია იმაზე, თუ რა პროვოკაციას აწყობს რუსეთი ჩვენს სამეზობლოში.

– თქვენი აზრით, მთიანი ყარაბაღის მოვლენებში რუსეთის ხელი ურევია?

– ამაში დარწმუნებული ვარ. რუსეთი გამოაძევეს ცივილიზებული სამყაროდან. მოსკოვი არ არის გლობალური მოთამაშე, თუმცა ჯერ ისე არ დასუსტებულა, რომ წერტილოვანი დარტყმები ვერ განახორციელოს. ამჟამად რუსეთი თურქეთის დონეზეც კი არ არის. რეგიონში თავიანთ სიტყვას ამბობენ თურქეთი და ირანი. რუსეთის ხელისუფლებას უნდა, თავისი ხალხი თავის ძლევამოსილებაში დაარწმუნოს. ამისთვის სჭირდება სისხლიანი პროვოკაციები. საერთოდ, საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის, შავ ზღვაზე, ბევრი რამ ხდება. ჩვენ ამას არ ვიმჩნევთ, ვართ შეკეტილები საკუთარ სამყაროში და ერთმანეთს ვურტყამთ, ქვებს ვუშენთ, სისულელეებზე ვლაპარაკობთ.

– რაც უნდა ჩავიკეტოთ, გლობალური ძვრები ადრე თუ გვიან შეგვეხება.

– რასაკვირველია. სირაქლემასავით თავჩარგული მუდმივად ვერ იქნები. ალბათ, პოლიტიკური ცხოვრებაც გვექნება. ქვეყნის განვითარებისათვის, ადამიანების ნორმალური ცხოვრებისათვის აუცილებელია პოლიტიკური ცხოვრება, იდეათა ჭიდილი, ჯანსაღი გარემო, კონკურენცია ყველა სფეროში. კონკურენცია უნდა იყოს პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც. სხვანაირად განვითარება არ იქნება. აშშ უძლიერესი სახელმწიფო გახდა თავისუფლების, თვითმმართველობის, კონკურენციის, თავისუფალი ენერგიის გაქანებით.

– უცხოელი ექსპერტები და დასავლელი მოკავშირეები გვირჩევენ, წინასაარჩევნოდ არ იყოს პოლარული გარემო. ხელისუფლება აცხადებს, რომ რეკომენდაციებს ითვალისწინებს. პოლარული გარემო კი უფრო ღრმავდება?

– პოლარული გარემო საქართველოში ხელოვნურად იქმნება. ეს არის საშინელება, თორემ ჯანსაღი კამათი და იდეათა ჭიდილი ნორმალური მოვლენაა. მიდის ხელოვნური თამაში და პოლარიზაცია. ტელევიზიებში იწვევენ მხოლოდ თამაშის მონაწილეებს. ზოგი მთავარი მოთამაშეა, ზოგი – მათი ნატეხი. სახალხო პარტია ამ სპექტაკლებში არ მონაწილეობს. ამის გამო ტელევიზიები არ გვეძახიან.

– პრემიერი გახარია დასთანხმდა დებატებს გიორგი ვაშაძესთან („სტრატეგია აღმაშენებელი“) და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ბაჩუკი ქარდავასთან. ეს რისი მანიშნებელია?

– ესეც სპექტაკლის ნაწილია. ესეც ეწყობა თვალსეირისათვის. ეს სანახაობაა და არა საქმე. ხალხს არ ეუბნებიან, სად არის პრობლემების სათავე.

– სად არის სათავე?

– მთავარი ის არის, რომ საზოგადოება განდევნილია პოლიტიკური პროცესებიდან. ის არ მონაწილეობს პოლიტიკური ცხოვრების წესის განსაზღვრაში. პოლიტიკით არც სცენაზე მყოფები არიან დაკავებული. ისინი ჟონგლიორობენ, ქმნიან სანახაობას. საზოგადოება პროცესებიდან გარიყეს. ამიტომ ისმის „მიშა, მიშა“, ასევე „ბიძინა, ბიძინა“. სხვები თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდს ელოდებიან.

– ხალხის ნაწილი ახალი ბელადის მოლოდინშია?

– მინდა, ამ ადამიანებს ვუთხრა, რომ ტყუილად ელოდებიან ბელადს. ძველმა ბელადებმა თავი ამოწურეს, ახლების ლოდინს აზრი არა აქვს. ბელადები მათ ვერ უშველიან. ხალხი აქტიურად უნდა ჩაებას პროცესებში და დაიწყოს ქვეყნის ცხოვრების წესის განსაზღვრა.

– ხალხის აქტიურობა საარჩევნო უბნებთანაც უნდა გამოჩნდეს?

– ცხადია. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მივიღოთ და ავირჩიოთ ადამიანები, რომლებსაც პოლიტიკისა რაღაც გაეგებათ. შვილს ოპერაცია რომ დასჭირდეს, კალათბურთელთან ხომ არ მიიყვან! ამისათვის კარგ ქირურგს მოძებნი. პოლიტიკაც ხომ ასეა?! მომღერლებსა და სპორტსმენებს პატივს ვცემ, მაგრამ პარლამენტში პოლიტიკოსები უნდა იყვნენ. ამ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხალხს ბევრ რამეს ჰპირდებიან, მაგალითად, წყლის გაყვანას, გზის დაგებას. ხალხო, ვინც ამას გპირდებათ, იტყუება! კანალიზაცია, გაზმომარაგება, გამწვანება არ არის პარლამენტის წევრების ფუნქცია. პარლამენტი არის პოლიტიკის განმსაზღვრელი. ამ პრობლემებს სხვები აგვარებენ.

– სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხომ ეხება პარლამენტს?

– ამ სფეროში პოლიტიკის განსაზღვრა ეხება. არ შეიძლება სიღარიბის სტიმულირება. ხელისუფლება სწორედ ამას აკეთებს. ჩინოსნები სოციალური შემწეობის საკითხს აბამენ ქონებას. ქონებას კი არა, შემოსავალს უნდა მიაბან. ადამიანს რომ ბაბუამ სახლ-კარი დაუტოვა, ეს რას წყვეტს? ამის გამო ადამიანი მშიერი უნდა მოკვდეს? იმის შიშით, რომ ეზოში სამი-ოთხი ქათამი არ უპოვონ და ამის გამო სოციალური დახმარება არ მოუხსნან, გაჭირვებული ხალხი შინაურ ფრინველზე უარს ამბობს. ეს რა უბედურებაა? უნდათ, რომ უმრავლესობა ღარიბი და სახელმწიფოზე იყოს დამოკიდებული. არადა, ჩემი მეზობელი რომ წელგამართული იქნება, ეს უკეთესია ჩემთვისაც და სახელმწიფოსთვისაც.

„გურამ ამირხანაშვილმა დაადასტურა, რომ ტოიოტაში ძალით ჩასვეს“

მცხეთის სასამართლოში შაქარაშვილის საქმის ოქროს მოწმე დაიკითხა

გუშინ, 30 სექტემბერს, მცხეთის რაიონულ სასამართლოში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის მეგობარი, ე.წ. ოქროს მოწმე გურამ ამირხანაშვილი დაიკითხა.

ეკა ხუციშვილი

მას სასამართლოს ტერიტორია ისე დაატოვებინეს, ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.

ამირხანაშვილის ადვოკატ ეკა ხუციშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი „ტოიოტა ქამრიში“ არჩილ გაგნიძის მითითებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩაჯდა.

– თავდაპირველად გაგნიძემ უთხრა ჩამჯდარიყო მანქანაში და ჩაჯდა. დანარჩენებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ არც გაუპროტესტებიათ. მისი ნების საწინააღმდეგოდ მოხდა ეს, რა თქმა უნდა, მას არ სურდა ჩაჯდომა. ეს არის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, – განაცხადა ხუციშვილმა.

კითხვაზე, ჰკითხა თუ არა მას არჩილ გაგნიძემ, „შაქარაშვილმა ცურვაც ისევე კარგად იცოდა თუ არა, როგორც სირბილი“, ადვოკატი პასუხობს, რომ ამირხანაშვილმა აღნიშნული ფაქტი დაადასტურა.

– ეს დაადასტურა, გაიმეორა, ერთ-ერთმა რომ ჰკითხა, „როგორ კარგადაც იცის სირბილი, ასე კარგად თუ იცის ცურვაო“, – აცხადებს ადვოკატი.

მისივე განმარტებით, ამირხანაშვილმა გიორგი შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ არ იცოდა და პოლიციაშიც ამიტომ არ დაურეკავს.

– გაუჩნდა განცდა, რომ ის იპოვეს პირველი და განცდა გაუჩნდა, რომ შაქარაშვილს საფრთხე არ ემუქრებოდა, ამიტომ არ განაცხადა პოლიციაში და დაურეკა მეგობარს, რომ წასულიყო და შაქარაშვილი წამოეყვანა. როცა დილით მოიკითხა და გამოჩენილი არ იყო, ოჯახს იმ ინციდენტის შესახებ შეატყობინა, რაც მოხდა, – განაცხადა ხუციშვილმა.

* * *

კომენტარი ბრალდებულების ადვოკატებმაც გააკეთეს.

– გურამ ამირხანაშვილმა პროკურატურის კითხვებზე, დარიგებული, კარგად ნასწავლი ბავშვივით ჩამოაყალიბა თავისი ჩვენება, ხოლო ადვოკატების მიერ დასმულ კითხვებზე აცხადებდა, რომ არ ახსოვდა, – განაცხადა ბრალდებულ ზ.ხ.-ს ადვოკატმა მურმან ნიკოლეიშვილმა.

მურმან ნიკოლეიშვილი

მისივე განმარტებით, გურამ ამირხანაშვილის მიერ სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება პროკურატურის პოზიციის გაჟღერება იყო.

– როგორც ახლედიანმა, ისე ამირხანაშვილმაც, ის სხვაობები, რაც მათ წინა ჩვენებებში ჰქონდათ, ზუსტად ერთი და იგივე წინადადებებით განმარტეს, რომ სტრესში იყვნენ და მაშინ ვერ იხსენებდნენ და ბოლო ჩვენებაში გაიხსენეს, რა იყო ჭეშმარიტება. ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე ამირხანაშვილი აცხადებდა, რომ „არ ახსოვდა“, „არ იცოდა“. ის ინფორმაცია, რაც სასამართლოს მიაწოდა, არც ერთ ჩვენებაში არ აქვს ნათქვამი.

მისი ეს ჩვენება მთლიანად ის პოზიციაა, რასაც ბრალდების მხარე აჟღერებს. პროკურატურის კითხვებზე, დარიგებული, კარგად ნასწავლი ბავშვივით ჩამოაყალიბა თავისი ჩვენება, ხოლო ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე აცხადებდა, რომ „არ ახსოვს“. ეს გარეშე პირს რომ ენახა, აღშფოთდებოდა. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია მართლმსაჯულება, – განაცხადა ნიკოლეიშვილმა.

ბრალდებულ ლ..შ.-ს ადვოკატმა ზაქრო გვიშიანმა კი თქვა, რომ გურამ ამირხანაშვილს გიორგი შაქარაშვილი სრულყოფილად არ მოუძებნია, არ გაურკვევია, სად იყო.

– ლოგიკურია, რომ ამ ფაქტის შესახებ მას პოლიციაში იმავე დღეს უნდა განეცხადებინა, – აღნიშნა მან.

მისივე განმარტებით, გურამ ამირხანაშვილის ჩვენება არადამაჯერებელი და არათანმიმდევრულია.

– როცა მოწმე აცხადებს, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომობილის მოსვლის შემდეგ ის მყისიერად გაიქცა და შემდეგ აცხადებს, რომ ცემაში 8 პირი იყო ჩართული, 2 პიროვნება, რომლებმაც მას ტელეფონის ნომერი გამოართვა, მათგან მოშორებით იყო, როგორ მოხდა, რომ 8 პირი მყისიერად ჩაერთო დაპირისპირებაში, მათ შორის, ტატიაშვილი, რომელზეც არც ერთი მოწმე არ საუბრობს. მისი იდენტიფიცირება არ მოუხდენია, მაგრამ, როცა საუბრობს, რომ 8 პირი იყო ჩხუბში ჩართული, ე.ი. ყველა გამოდის.

მოწმემ ვერ აღწერა და ვერ მიუთითა ის პიროვნული მახასიათებლები, რაც გამოკითხვის ოქმში აქვს მითითებული. ასევე, ჩვენს კითხვაზე ვერ გასცა პასუხი, ჰკითხეს თუ არა იმ პირებმა, ვინც თბილისში წამოიყვანა, სად ცხოვრობდა ის და აპირებდა თუ არა თბილისში დაბრუნებას.

თავისუფლების აღკვეთას ადგილი არ ჰქონია. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან, ლ.შ.-თან დაკავშირებით კონკრეტული არაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რომ ტელეფონის ნომერი გამოართვა. ამირხანაშვილმა ძალიან ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა, ამიტომ მისი ჩვენება არადამაჯერებელი და არათანმიმდევრული იყო.

ნანა გუგუტიშვილი

მოწმემ მიიჩნია, რომ „ტოიოტას“ მგზავრებს სხვა პირი არ უნახავთ, მაგრამ ასევე განაცხადა, რომ ავტომობილში ერთ-ერთმა განაცხადა, „უკვე დამკაში იქნებოდა“. თუ ეს მოისმინა, ის მოისმინა, რომ „სირბილივით კარგად იცოდა თუ არა ცურვა“ მისმა მეგობარმა, მაშინ რატომ განაცხადა, რომ „ტოიოტას“ მგზავრებს სხვა პირი არ ეყოლებოდათ ნანახი?

აქაც ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები იკვეთება. მისი ჩვენება ბრალდებულების წინააღმდეგ არ უნდა იყოს გამოყენებული. კითხვაზე, თუ რატომ არ განაცხადა პოლიციაში, მან არ მიიჩნია, რომ პირი დაკარგული იქნებოდა. თუმცა, ლოგიკურია, რომ მას მისი მეგობარი სრულყოფილად არ მოუძიებია, არ გაურკვევია, სად იყო. ლოგიკური იყო, ამ ფაქტის შესახებ მას პოლიციაში იმავე დღეს განეცხადებინა, – განაცხადა გვიშიანმა.

ბრალდებულ ნ.ც.-ს ადვოკატ არჩილ ბერიანიძის თქმით, გურამ ამირხანაშვილმა სასამართლოს ის ინფორმაცია მიაწოდა, რაც გამოძიებისთვის მის მიერ მიცემულ ინფორმაციას არ შეესაბამება.

მისივე განმარტებით, გურამ ამირხანაშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რასაც „ტოიოტა ქამრის“ მგზავრებს ედავებიან, თითიდან გამოწოვილია.

– მოწმე უკვე იყო დისკრედიტირებული, იქიდან გამომდინარე, რომ გამოძიებაშივე მას ჰქონდა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მიცემული. შესაბამისად, არანაირი მოლოდინი არ გვქონდა, რომ მას რაიმე რეალური ინფორმაცია შეეძლო გაეჟღერებინა სასამართლოსთვის. ეს მოლოდინი დადასტურდა, მან სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამებოდა გამოძიებაში, ასევე რამდენიმეჯერ მიცემულ ინფორმაციას. შესაბამისად, მოსამართლემ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გაითვალისწინოს ასეთი მოწმის ჩვენება.

მას ფაქტობრივად არ უსაუბრია „მერსედესის“ მგზავრებზე. მან ყურადღება გაამახვილა „ტოიოტა ქამრის“ ეპიზოდზე. მან თქვა, რომ დაინახა რვა ადამიანი თუ როგორ ეჩხუბებოდა ერთ პიროვნებას. ჩემ კითხვაზე, თუ მოახდინა ერთი პირის იდენტიფიცირება მაინც, თუ რომელი ჩხუბობდა იმ 8 ადამიანში, მან თქვა, რომ ასეთი პირის იდენტიფიცირებას ვერ მოახდენდა.

თქვენ განსაჯეთ, რამდენად შეიძლება მოწმის მიერ გადმოცემული ინფორმაცია შეესაბამებოდეს რეალობას, როცა მას ჩხუბში მონაწილე არცერთი პირის იდენტიფიცირება არ შეუძლია და დანამდვილებით ამბობს, რომ ჩხუბში 8 პირი მონაწილეობდა.

რაც შეეხება თავისუფლების უკანონო აღკვეთის ეპიზოდს, აღნიშნული ბრალდება თავიდანვე იყო თითიდან გამოწოვილი და ეს დადასტურდა მოწმის სასამართლოში დაკითხვით. ეს განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა, როდესაც მოწმე იძახის, რომ ის წამოიყვანეს მცხეთიდან, მასზე რაიმე სახის ძალადობა მანქანაში არ განხორციელებულა, არ მიუმართავთ ცუდად, არ მიუყენებიათ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ამის შემდეგ ის ჩამოსვეს თბილისის შემოსასვლელში, საიდანაც შეძლებდა სასურველ ლოკაციაზე წასვლას. ის თავისი ნებით ჩამოვიდა მანქანიდან.

ავტომობილში მოხვედრას რაც შეეხება, მან თქვა, რომ რომელიღაც პირმა, რომელსაც ვერ იხსენებს, მოჰკიდა ხელი და ჩასვა მანქანაში, მაგრამ საკითხავია შემდეგი გარემოება – მოწმე ვერ იხსენებს პირს, რომელმაც ხელი მოჰკიდა და ჩასვა მანქანაში, თუმცა, გამოკითხვის ოქმის მიხედვით, ქუთუთოების, ცხვირის, ნესტოების აღწერის დონეზე თითოეული მოწმის შეფასებას აკეთებს, როგორ ამოიცნო ისინი, – განაცხადა ბერიანიძემ.

საკუთარი მოსაზრება პროკურორმაც გამოთქვა.

– გურამ ამირხანაშვილმა დაინახა „მერსედესიდან“, მძღოლის გვერდითა სავარძლიდან ნიკა ჟვანია როგორ გადმოვიდა და რკინის ხელკეტი როგორ დაარტყა კონსტანტინე ღიბრაძეს, ასევე გიორგი ქათამაძეს. მან ჟვანიას გარდა ასევე დაინახა მანქანიდან გადმოსული სხვა 5 პიროვნება, მათ შორის, გიგა ტატიაშვილიც.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმის პროკურორმა ნანა გუგუტიშვილმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, სასამართლომ გურამ ამირხანაშვილის ჩვენება უნდა გაითვალისწინოს, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია.

პროკურორის თქმითვე, თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან დაკავშირებით ამირხანაშვილმა განმარტა, რომ არჩილ გაგნიძემ დანარჩენ პირებს მოუწოდა, ის მანქანაში ჩაესვათ.

– მიმაჩნია, რომ მოწმე გურამ ამირხანაშვილის ჩვენება მნიშვნელოვანი იყო. სასამართლომ უნდა გაიზიაროს აღნიშნული მოწმის ჩვენება. დაისვა ყველა შესაბამისი შეკითხვა. მოწმემ რა თქმა უნდა, მოახდინა გარკვეული პირების იდენტიფიცირება, იმ პირების, რომლებიც გამოძიებაშიც ჰყავდა იდენტიფიცირებული და ამოცნობილი.

რაც შეეხება „მერსედესის“ ეპიზოდს, ჟვანიასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაინახა, როგორ გადმოვიდა „მერსედესიდან“ მძღოლის გვერდითა სავარძლიდან და რკინის ხელკეტი დაარტყა კონსტანტინე ღიბრაძეს, ასევე გიორგი ქათამაძეს, რის შემდეგაც გაიქცნენ. ასევე, დაინახა მანქანიდან გადმოსული ჟვანიას გარდა სხვა 5 პიროვნება, მათ შორის, გიგა ტატიაშვილი, რომელიც ამოცნობილი ჰყავდა. ასევე დაინახა არასრულწლოვანი ლ.შ. და გიორგი მერაბიშვილი, რომლებიც გადაადგილდებოდნენ მათ უკან და ტელეფონის ნომერი სთხოვეს, ხოლო შემდეგ როგორ დაედევნნენ მათ. დევნა რომ შეჩერდა, მოწმემ დაინახა, რომ რვავე პიროვნება აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას გიორგი ქათამაძეს.

რაც შეეხება „ტოიოტა ქამრის“, მოწმემ ნახა მანქანის გაჩერებისთანავე როგორ გადმოვიდა 6 პიროვნება და მოახდინა ყველა მათგანის სახელით და გვარით იდენტიფიცირება, მათი აღწერილობა და მიუთითა ყველა ის პირი, ვინც ავტომობილში იმყოფებოდა.

თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან დაკავშირებით მოწმემ განმარტა, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩასვეს ავტომობილში, არჩილ გაგნიძემ მოუწოდა დანარჩენ პირებს, რომ ჩაესვა მანქანაში და მისი დატოვება არ შეიძლებოდა და არ დატოვებდნენ იქ. რის შემდეგაც, ყველა პირმა მიუთითა, რომ ჩამჯდარიყო ავტომობილში, მისი ნება იყო შეზღუდული, ავტომობილის დაძვრისა და გარკვეული მანძილის გადაადგილების შემდეგ, ხიდის მონაკვეთზე კვლავ სთხოვა, რომ გაეჩერებინათ ავტომობილი, თუმცა, ამაზეც კვლავ მიიღო ავტომობილში მყოფ პირთაგან უარი, – განაცხადა პროკურორმა გუგუტიშვილმა.

„ჯერ ძაღლი დაინახა, მერე ადამიანი... დღე-დღეზე ელოდება შვილს“

ელენე ბაშარულის სიკვდილისთვის 23 წლის გ.გ. დააკავეს

რუსთავში რუსთაველის ქუჩაზე 28 სექტემბერს მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 16 წლის ელენე ბაშარულის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არასრულწლოვანი მე-16 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე იყო.

ავტომობილის მძღოლი, 23 წლის მამაკაცი, რომელიც 16 წლის გოგოს დაეჯახა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, უკვე დაკავებულია.

გ.გ ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ რუსთავიდან ხარაგაულში წავიდა, სადაც 29 სექტემბერს სამართალდამცავებს თავისი ნებით ჩაჰბარდა.

დაკავებულის ადვოკატ ნანა ჯახველაძის განცხადებით, 23 წლის კაცი მომხდარს ნანობს და მზადაა, პასუხი აგოს.

– ვუსამძიმრებთ გარდაცვლილი გოგონას ოჯახს, მეც და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფიც. ძალიან ვწუხვართ მომხდარის გამო. გვსურს, ვთქვათ, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია. მან პირველად დაინახა ძაღლი, როდესაც მიხვდა, რომ ადამიანიც ახლდა, გვერდით რუსთაველის ქუჩაზე მანქანა გააჩერა. ფეხით მივიდა შემთხვევის ადგილზე, სადაც ბევრი ხალხი იყო შეკრებილი, ასევე სასწრაფო იყო მისული.

მიხვდა ის, რომ გოგონა არ იყო მიტოვებული და დახმარებას მას ხალხი უწევდა. ძალიან ცუდი კომენტარები მოდიოდა, აღშფოთებული იყო ხალხი, სწორედ ამის შემდეგ დატოვა მან შემთხვევის ადგილი.

შემდეგ იგი გავიდა ქალაქიდან, მობილიზდა, ძალიან განერვიულებული იყო. 23 წლის ბიჭია და პირველად მოხვდა ასეთ სიტუაციაში. საერთოდ პოლიციასთან არ ჰქონია შეხება, ძალიან ცუდი ამბები გავრცელდა. მშრომელი, პატიოსანი ბიჭია, ავტობაზრობაზე მუშაობს, ჰყავს მეუღლე და დღე-დღეზე ელოდება შვილს.

აქედან გამომდინარე, ის თავისი ფეხით ჩაჰბარდა პოლიციას. ჩვენ და ოჯახი მზად ვართ, ყველანაირად გვერდში დავუდგეთ გარდაცვლილი გოგოს ოჯახს და ყველანაირი დახმარება გავუწიოთ, – განუცხადა „ინფო რუსთავს“ დაკავებული გ.გ-ს უფლებადამცველმა.

ადვოკატის თქმით, მამაკაცი მაღალი სიჩქარით არ გადაადგილდებოდა და ამის დადასტურება ამავე ავტომობილში მსხდომ კიდევ 2 პირს შეუძლია.

ფრიდონ აბჟანდაძეს ბრალი დაუმძიმდა

საქართველოს პროკურატურის მიერ თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში 11 წლის მოზარდის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე დაკავებულ ფრიდონ აბჟანდაძეს ბრალდება დაუმძიმდა. მას ბრალდება არასრულწლოვანი შვილის არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენებისა და მეუღლის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფისა და დამცირების ფაქტებზე წარედგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი ფ.ა. არასრულწლოვან შვილს ა.ა.-ს არაადამიანურად ეპყრობოდა – სისტემატურად ემუქრებოდა მოკვლით, ცემით, სახლის და მისთვის სასურველი ნივთების დაწვით. ასევე, ფ.ა. არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, ტელეფონით საუბრისას, საზღვარგარეთ მყოფ მეუღლეს ნ.ა.-ს სისტემატურად ამცირებდა და შეურაცხყოფას აყენებდა.

ბრალდებულის მხრიდან განხორციელებული ქმედებების შედეგად, მისი არასრულწლოვანი შვილი მუდმივი სტრესისა და შიშის ქვეშ იმყოფებოდა, რის გამოც 2020 წლის 23 აგვისტოს მან თავის საცხოვრებელი სახლის ეზოში თავი მოიკლა.

ფ.ა.-ს დაზუსტებული ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა, 115-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმკვლელობამდე მიყვანა), 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ სისტემატური შეურაცხყოფა და დამცირება, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით), 11 პრიმა, 144-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით (პირის არაადამიანურ მდგომარეობაში ჩაყენება, ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 10 წლამდე თავისუფლებას აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ფ.ა. 2020 წლის 23 აგვისტოს დააკავეს და მას სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„17 წლის გოგონა ტყეში ძალდატანებით წაიყვანა. სხეულზე ნაკაწრები ჰქონდა“

რა მოხდა წყალტუბოში

წყალტუბოში 17 წლის მოზარდის მიმართ გარყვნილ ქმედებაზე გოგონას ექსპერტიზა ჩაუტარდა. სექსუალური ძალადობის ფაქტი 5 დღის წინ მოხდა.

მამაკაცი, რომელიც წყალტუბოში არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილ ქმედებაშია ეჭვმიტანილი, გოგონას ოჯახთან ნათელმირონობა აკავშირებს.

ადგილობრივების ინფორმაციით, მსგავს ქმედებაში მამაკაცი ადრეც იყო შემჩნეული, თუმცა მაშინ საქმე არ გახმაურებულა.

– სოციალურად დაუცველი ოჯახია, ბავშვი არის გულჩათხრობილი, ნაკლებად კონტაქტობს ადამიანებთან და ადვილია მისი დაყოლიება. ალბათ, ამით ისარგებლა. გავიგეთ, რომ ტყეში წაიყვანა ძალდატანებით. ნაკაწრები ჰქონდა სხეულზე. პედაგოგმა გაიგო.

მოძალადეს ნათელმირონობა აკავშირებს ბავშვის ოჯახთან. გვერდით ქუჩაზე ცხოვრობს. როგორც ვიცით, ადრეც ჰქონდა მცდელობა, მაგრამ ახლა გახმაურდა. მინდა, რომ დააკავონ, არ მინდა, ჩემი შვილები ასეთი ადამიანის გარემოში ცხოვრობდნენ. დაკავებული არ არის, – აცხადებენ ადგილობრივები.

ილჰამ ალიევი: „ყარაბაღში ჩვენი დროშა აღვმართეთ და აქედან ველარავინ გაგვიყვანს“

– ოთხდღიანი ბრძოლის შედეგად აზერბაიჯანმა წარმატებული ოპერაცია განახორციელა, სტრატეგიული სიმაღლეები და რამდენიმე დასახლება გაათავისუფლა და დიდი ხნის შესვენების შემდეგ ჩვენ ამ მიწებზე დავბრუნდით, – ამის შესახებ აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა განაცხადა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანს ვერავინ აიძულებს, დატოვოს ტერიტორიები, სადაც საკუთარი დროშა აღმართა.

– ამ მიწებზე საკუთარი დროშა აღვმართეთ და აქედან ველარავინ გაგვიყვანს, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღვადგინოთ, – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

მან თურქეთის მიმართ მადლიერება კიდევ ერთხელ გამოხატა.

– გამოვხატავ უღრმეს მადლობას ჩვენი მოძმე თურქეთის მიმართ, მისი პრეზიდენტის, ჩემი ძმა რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიმართ, მისი ურყევი და ძმური პოზიციის გამო. ჩემი ძვირფასი ძმის ძალიან ღია და მკაცრმა განცხადებებმა ცხადყო, რომ აზერბაიჯანი მარტო არ არის“, – აღნიშნა ილჰამ ალიევმა.

ამასობაში სომხეთის მიერ განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით აზერბაიჯანის 14 რეგიონის 420-მა სკოლამ მუშაობა შეზღუდა. ამის შესახებ ქვეყნის განათლების მინისტრმა ემინ ამრულაევმა განაცხადა.

– მტრის აგრესიისა და დასახლებულ პუნქტებზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად სკოლის 9 შენობა და ტერიტორია დაზიანდა. სამწუხაროდ, ჩვენი ორი მოსწავლე მტრის თავდასხმას ემსხვერპლა, ერთი პედაგოგი კი დაჭრილია, – აღნიშნა მინისტრმა.

სომხური წყაროები სხვა ინფორმაციას ავრცელებენ.

არაღიარებული მთიანი ყარაბაღის ე.წ. პრეზიდენტის პრესმდივნის ვაგრამ პოღოსიანის ინფორმაციით, ყარაბაღის არმიამ შეძლო დაებრუნებინა აზერბაიჯანთან ბრძოლის დროს დაკარგული პოზიციები.

პოღოსიანმა აღნიშნა, რომ 27 სექტემბერს აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების წარმატება ბრძოლის ველზე აიხსნება მათი მხრიდან თავდასხმით, რაც რამდენიმე საათს გაგრძელდა, რის შემდეგაც დაიწყეს მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება.

– ერთი ღამის განმავლობაში შევძელით დაგვებრუნებინა დაკარგული პოზიციების დიდი ნაწილი, გავაუმჯობესეთ ისინი, კვლავაც წინ მივიწევთ და ეს მაშინ, როდესაც აზერბაიჯანის არმიის რიგებში იბრძვიან თურქი სამხედრო მოსამსახურეები, ეს ყველასთვის ცნობილია, – განაცხადა პოღოსიანმა.

მისი თქმით, თუკი აზერბაიჯანი განაგრძობს შეტევებს, არ არის გამორიცხული, რომ „არა მხოლოდ დავიცავთ ჩვენ პოზიციებს, არამედ წინ წავიწევთ“.

მისივე ცნობით, მთიანი ყარაბაღის ეკონომიკა არ დაზარალებულა ომის შედეგად, ინფრასტრუქტურა კვლავინდებურად მუშაობს.

აზერბაიჯანული წყაროები კი აზერბაიჯანის წარმატებაზე საუბრობენ.

– სომხეთის არმიის მე-10 სამთო მსროლელი დივიზიის მე-7 სამთო მსროლელი პოლკის მეორე ბატალიონმა ჩვენ მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა.

ამის შესახებ ინფორმაციას აზერბაიჯანული მედია ქვეყნის თავდაცვის უწყებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

ბატალიონმა დახმარებისთვის სარდლობას მიმართა.

– ჩვენმა ნაწილებმა დასახმარებლად მიმავალი სარეზერვო ძალები აღმოაჩინეს და გაანადგურეს, – აცხადებენ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროში.

ბაიდენი: „ტრამპი პუტინის ლეკვია“

29 სექტემბერს ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და დემოკრატების პრეზიდენტობის კანდიდატ ჯო ბაიდენს შორის პირველი სატელევიზიო დებატები გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნული დებატები ერთობ დაძაბული და ხმაურიანი აღმოჩნდა.

სატელევიზიო დებატების დროს ჯო ბაიდენმა დონალდ ტრამპს „რასისტი და პუტინის ლეკვი“ უწოდა.



დებატების დროს დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ რასობრივ საკითხებთან დაკავშირებული ტრენინგები შეაჩერა, რადგან ტრენინგების დროს ადამიანებს არწმუნებდნენ, რომ ამერიკა საშინელი, რასისტული ქვეყანაა.

რესპუბლიკელი ოპონენტის ამ განცხადების საპასუხოდ ჯო ბაიდენმა მას რასისტი უწოდა.

– ამას სხვა არავინ გააკეთებდა. ის, უბრალოდ, რასისტია. ეს პრობლემები ქვეყანაში არსებობს და ხალხმა უნდა იცოდეს, რა არის შეურაცხმყოფელი სხვებისთვის. დონალდ ტრამპი განსხვავებული კანის ფერის ადამიანებს ზემოდან უყურებს, – განაცხადა მან. ბაიდენმა ტრამპი რუსეთის გაკრიტიკებაზე უარის თქმაში დაადანაშაულა.

„ტრამპის პრეზიდენტობისას ჩვენ უფრო სუსტები, ღარიბები და დაყოფილები გავხდით. ფაქტია, რომ პირისპირ ვხვდებოდი ვლადიმერ პუტინს და მკაფიოდ ვეუბნებოდი მას, რომ მისგან არაფერს მოვითმენთ. ტრამპი პუტინის ლეკვია, უარს ამბობს, რამე უთხრას პუტინს იმაზე, რომ ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცების ლიკვიდირებაზე ჯილდო დააწესეს, – განაცხადა ჯო ბაიდენმა.

ბაიდენი ტრამპს 9-10%-ით უსწრებს. არჩევნების შედეგებს გადაწყვეტენ შტატები, სადაც ბაიდენის უპირატესობა მხოლოდ 2-3%-ია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პენსიონერმა ქალმა სახლში შეჭრილი მძარცველი დააკავა

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ სპანაუეის მცხოვრებმა ხანდაზმულმა ქალმა დამოუკიდებლად მოახერხა მძარცველის დაკავება, რომელიც მის სახლში შეჭრას ცდილობდა.

კვირა საღამოს 78 წლის პენსიონერი ქალი, სახელად სენდი, საკუთარ სახლში იმყოფებოდა. მოულოდნელად მისმა ძაღლმა ბუბუმ ყეფა ატეხა.

– ძალიან შევშინდი, – აღიარა ქალმა. ის შემოსასვლელ კართან მივიდა და შენიშნა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მის ნაკვეთში იმყოფებოდა. ქალის დანახვაზე მძარცველი შეშინდა და გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ პენსიონერმა ქალმა მას მიმალვის საშუალება არ მისცა.

– თოფს ვტაცე ხელი და დავუყვირე: „ო, არა, შენ ვერ წახვალ. შენ აქ დარჩები“ – იხსენებს პენსიონერი. მან მძარცველი მიზანში ამოიღო და პოლიციაში დარეკა.

– როდესაც ის კიბეზე დაეშვა, მე მას ვუბრძანე ძირს დამჯდარიყო და პოლიციის მოსვლამდე იარაღით თავზე ვადექი. ამ დროს უკვე აბსოლუტურად მშვიდად ვიყავი. მე მას ვუთხარი: „იცი შენხელა შვილიშვილები მყავს“ – ყვება ამერიკელი ქალბატონი.

ადგილზე მისულმა პატრულმა პოტენციური მძარცველი დააპატიმრა. თუმცა ხანდაზმულმა ქალმა ის შეიცოდა და მის წინააღმდეგ საჩივარი არ შეიტანა. უიღბლო მძარცველი მალევე გაათავისუფლეს.

განძისმაძიებელმა განძს მიაგნო და საკუთარ განცდებზე ისაუბრა



განძისმაძიებელმა ამერიკელი მილიონერის ფორესტ ფენას განძს მიაგნო, ისაუბრა მისი ძებნის პერიპეტიებზე და მასთან შეხვედრაზე. საკუთარი მონათხრობი მან სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

ტექსტის ავტორი საკუთარი თავის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას არ ავრცელებს. ის არც საკუთარ სახელს ამხელს, მხოლოდ აცხადებს, რომ მას შეიძლება მილენიალი ვუწოდოთ, პიროვნება, რომელიც 1980 წლების დასაწყისიდან 1990-იანის შუა წლებამდე დაიბადა. იმას, რომ სწორედ მან მოახერხა ცნობილი განძის პოვნა, ადასტურებს მისი ფენასთან შეხვედრის დროს გადაღებული ფოტოსურათები, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში შედგა და რომელშიც მის მიერ ნაპოვნ ოქროთი სავსე ზარდახშას ათვალიერებს.

განძისმაძიებელი ამტკიცებს, რომ ფენას შიფრი ჯერ კიდევ 2018 წელს გაშიფრა, მაგრამ არაერთი თვე დასჭირდა მის მისაგნებად.

– რამდენიმე წლით ადრე, სანამ ფორესტ ფენას შესახებ გავიგებდი, სრულიად მქონდა დაკარგული საკუთარი თავის რწმენა, – წერს განძისმაძიებელი, – მე მომწონს ფიქრი და სწორედ ეს დამეხმარა განძის მიგნებაში. საკუთარი შესაძლებლობების რწმენა იმდენად მქონდა დაკარგული, რომ იძულებული ვიყავი, მხოლოდ ფაქტებს დავყრდნობოდი და ვცდილობდი, გონება წინათგრძნობებს არ აჰყოლოდა.

მას შემდეგ, რაც მან სანუკვარ ზარდახშას მიაგნო, ავტომობილთან დაბრუნდა, საჭესთან დაჯდა და ატირდა.

– ის მომენტი, როდესაც მე ის ვიპოვე, სრულიადაც არ იყო ჰოლივუდური ტრიუმფალური ჰეფი-ენდი, როგორიც ვინმეს წარმოედგინა, – იხსენებს განძისმაძიებელი, – ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოსდა რაღაც მკაცრ გამოცდას გავუძელი და სასწაულებრივად გადავრჩი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

საცოლემ საქმრო მემკვიდრეობის გამო მოწამლა

ავსტრალიელმა ქალმა, რომელიც მემკვიდრეობის ხელში ჩაგდების მიზნით საქმროს მოწამვლაშია ეჭვმიტანილი, სასამართლოს საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ვიაგრას რეცეპტი და ნიშნობის ბეჭედი წარუდგინა.

62 წლის დევიდ ლოურენსი 2015 წლის დეკემბერში გარდაიცვალა. გაკვეთის შედეგად მის ორგანიზმში რამდენიმე წამლის და მორფის სასიკვდილო დოზა იქნა აღმოჩენილი. წამლებს მისი საცოლე, 56 წლის უენდი-სიუ დენტი იღებდა.

პროკურორის ვერსიით, ქალმა შეგნებულად მოწამლა ლოურენსი თავის წამლების ნაზავით. საქმროს გარდაცვალების შემთხვევაში მთელი მისი ქონება, რომელიც 300 ათას ავსტრალიურ დოლარადაა შეფასებული, საცოლეს ხელში გადადიოდა. ანდერძს ლოურენსმა, რომელიც დენტს მის ერთადერთ მემკვიდრედ აცხადებდა, ხელი გარდაცვალებამდე ცხრა კვირით ადრე მოაწერა. ბრალდების მხარე არ გამორიცხავს, რომ ხელმოწერა გაყალბებულია.

დენტი საკუთარ უდანაშაულობას ამტკიცებს და ანდერძის გაყალბებასაც უარყოფს. მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ ლოურენსი და დენტი შეყვარებულები იყვნენ და უნდა დაქორწინებულიყვნენ. მისი თქმით, ამის ერთ-ერთ მტკიცებულებას ექიმთან მათი ერთად ვიზიტი წარმოადგენს, რომლის დროსაც ექიმმა ლოურენსს ვიაგრა გამოუწერა.

სასამართლო განაჩენს უახლოეს კვირაში გამოაცხადებს.

გოგონას პლასტიკურ ოპერაციაზე ეკონომია მკერდის დამახინჯებად დაუჯდა

გოგონამ ფულის ეკონომიის მიზნით პლასტიკური ოპერაცია თურქეთში გაიკეთა და შედეგად სხეული დაიმახინჯა.

აღნიშნული ამბავი ინგლისის ქალაქ სოლფორდის მკვიდრ ჩერის მასაის გადახდა თავს. მეგობრების რეკომენდაციით, 23 წლის გოგონამ კანის დაჭიმვა, მკერდის გადიდება და დუნდულების კორექცია სტამბოლის ერთ-ერთ საავადმყოფოში გაიკეთა. ეს ყველაფერი მას 5500 ფუნტი სტერლინგი დაუჯდა, იმაზე 3300 ფუნტით ნაკლები, ვიდრე დიდ ბრიტანეთში დაუჯდებოდა.

მასაის თქმით, როდესაც რვასაათიანი პროცედურის შემდეგ თვალი გაახილა, აღმოაჩინა, რომ დუნდულებში მკერდის იმპლატანტები ჰქონდა ჩადგმული. გოგონა სასწრაფოდ სისხლის გადასასხმელად რეანიმაციაში გადაიყვანეს. მას ასევე აცნობეს, რომ მისმა სხეულმა სილიკონის იმპლანტები უარყო, რის გამოც მათ მოსაშორებლად კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდა.

გარდა ამისა გოგონამ შენიშნა, რომ მკერდიდან სისხლის ჟონვა დაეწყო.

– ჩემმა ძუძუსთავმა იასამნისფერი შეფერილობა მიიღო, მათ კი მითხრეს, რომ ეს უბრალოდ ჩალურჯება იყო და მეტი არაფერი, მაგრამ ორ კვირაში ისინი გაშავდა, ხოლო კიდევ ოთხი დღის შემდეგ საერთოდ მომძვრა, – განაცხადა მასაიმ.

გოგონას ნეკროზი – ცოცხალ ორგანიზმში ადგილობრივი ქსოვილის კვდომა დაუდგინდა. მასაის მკერდზე დარჩა ხვრელი, რომელიც, მისი თქმით, უჩირქდება და საშინელი სუნი ასდის. მან ასევე აღნიშნა, რომ მომავალში კანის გადანერგვა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება.

საზოგადოება

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო გელათში გეგმურ მონიტორინგს განახორციელებს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გელათში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გეგმურ მონიტორინგს განახორციელებს:

– გელათის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარზე გამოვლენილი სარესტავრაციო ხარვეზების გამოსწორების პროცესში, რომელსაც შემსრულებელი კომპანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული სანებართვო პირობების მიხედვით ახორციელებს, დასრულდა ხარაჩოს მოწყობის სამუშაოები. დროებითი ღონისძიების ფარგლებში სრულდება მთავარი ტაძრის გუმბათის ყელის ირგვლივ მკლავების მყარი დროებითი გადახურვის მოწყობაც, რომელიც კედლებისა და სახურავის შეპირაპირების მონაკვეთებზე არსებული კერებიდან წყლის ინფილტრაციის პრევენციას უზრუნველყოფს. ამავდროულად, აგებულია კონსტრუქცია ტაძრის საკურთხეველსა და პასტოფორიუმებზე ანალოგიური დროებითი ტიპის გადახურვების მოსაწყობად.

ახლო მომავალში წმინდა მარინეს ეკვდერზე დაზიანებული კრამიტების ყველაზე კონცენტრირებულ არეალზე ტენტის რბილ გადახურვას მყარი სახურავი შეცვლის. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, რომლითაც ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ქვედა რეგისტრებსა და საკურთხეველზე მოწყობილი კრამიტის სამშენებლო მასალების სტანდარტებთან შეუსაბამობა დადასტურდა, სააგენტოსა და მუნიციპალური განვითარების ფონდის მოთხოვნით შემსრულებელს მიეცა მითითება ტაძარზე ნარინის ეკვდერზე, კარიბჭეებსა და ნართექსზე დამატებითი თუნუქის დროებითი გადახურვის მოწყობასთან დაკავშირებით, რაც წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. ამავე დასკვნის შესაბამისად, შემსრულებელს მოეთხოვება ტაძრის ეკვდერებზე, კარიბჭეებზე, ნართექსზე, საკურთხეველსა და პასტოფორიუმებზე გამოყენებული კრამიტის სრულად გამოცვლა და ამ მიზნით შესაბამისი გეგმა-გრაფიკისა და სამოქმედო გეგმის მომზადება.

მთავარ ტაძარზე დროებითი გადახურვების მოწყობის პარალელურად შემსრულებელი გადახურვებზე არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სააგენტო წარმოადგენს კვლევისა და ჩარევების პროექტს. გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევის საფუძველზე კომპლექსის წმინდა გიორგის ეკლესიის სამხრეთ კედელზე არსებული ბზარის შევსების შემდგომ აღიკვეთა წყლის შედინების კერა, რაც ამ დრომდე კედლის მხატვრობის ქტიტორის გამოსახულების დაზიანებას იწვევდა.

საზედამხედველო მისიის დაკვირვების ანგარიშების მიხედვით, ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის ექსტერიერისა და ინტერიერის კრიტიკულ მონაკვეთებზე შეიმჩნევა შრობის პროცესი. ვიზუალური დაკვირვების მიხედვით, დასავლეთ მკლავის სამხრეთი კედლის დასველებული არეალი შემცირებულია. დაწყებულია ამავე მკლავის დასავლეთ კედლის სველი არეალის გაშრობაც. ლოკალიზებულია წმინდა მარინეს ეკვდერის სამხრეთ და დასავლეთ კედლების სველი არეალებიც.

საზედამხედველო მისიის პირველადი შეფასებები ოქტომბრის პირველ რიცხვებში გეგმური მონიტორინგის ფარგლებში დოკუმენტურად გადამოწმდება და მომზადდება კრიტიკული არეალების პროგრესის ანალიზი, მისიის ანგარიში კი მომდევნო დღეებში გასაჯაროვდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პერის ჰილტონმა მდიდრული ავტომობილების დემონსტრირებით ფანების გულისწყრომა დაიმსახურა

ამერიკელმა მსახიობმა, მოდელმა და ჰილტონის სასტუმროების იმპერიის ყოფილმა მემკვიდრემ პერის ჰილტონმა თავის 17 წლის მეგობარ ჯოჯო სივასთან საკუთარი ელიტური ავტომობილების დემონსტრირება მოაწყო, რისთვისაც სოციალური ქსელების მომხმარებელთა კრიტიკა დაიმსახურა.

39 წლის ფოტომოდელმა ტიკტოკ აკაუნტში განათავსა ვიდეორგოლი, რომელშიც საკუთარი ავტომობილის BMW i8 Roadster-ის გვერდით პოზირებს, რომლის ფასი 165 ათასი დოლარია. მას მანქანის ფერის შესაბამისი კაბა, თეთრი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა და მზის სათვალე ეკეთა.

თავის მხრივ, სივამ ელექტროკარ Tesla Model X-ს დემონსტრირება მოაწყო, რომელიც მისივე ფოტოსურათებით იყო გაფორმებული. მისი ფასი 94.690 დოლარია.

ინტერნეტმომხმარებლებმა გოგონების ავტომობილების დიზაინის გამო გულისწყრომა გამოთქვეს და მათ თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს.

– ამდენი ფული, ყოველგვარი საღი აზრის გარეშე, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– ერთობლივი გამოთაყვანება, – აღნიშნა მეორემ.

– ამ მანქანებს უგემოვნობის დემონსტრირებას ვუწოდებდი! საზიზღრობაა! – აღშფოთება არ დამალა მესამემ.

მოსწავლემ ზოოპარკში გისოსები გადახერხა და მაიმუნები გაათავისუფლა

იაპონიის ქალაქ ტიბაში პოლიციამ დააპატიმრა სკოლის მოსწავლე, რომელიც ეჭვმიტანილია ზოოპარკის ვოლიერიდან 70 მაიმუნის გამოშვებაში.

მიმდინარე წლის 10 ივნისს ქალაქ ფუცუს ზოოპარკის თანამშრომელმა იაპონური მაკაკების ვოლიერში დაახლოებით 30 სანტიმეტრი დიამეტრია ხვრელი აღმოაჩინა. მავთულის ღობე მჭრელი ნივთით იყო გადახერხილი. ამის შედეგად ვოლიერის მკვიდრი 70 მაიმუნი გაიქცა.

ოთხშაბათს, 23 სექტემბერს, პოლიციელებმა დააპატიმრეს 16 წლის მოსწავლე, რომელიც ვანდალიზმშია ეჭვმიტანილი. მას იმის წყალობით მიაგნეს, რომ მისი მეგობრის კუთვნილი ავტომობილი ზოოპარკში დაყენებულმა სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. სამართალდამცავი ორგანოები ახლა არკვევენ, მომხდარ შემთხვევასთან დაკავებულის მეგობრებსაც აქვთ თუ არა კავშირი.

მოხერხდა თუ არა გაქცეული მაიმუნების უკან დაბრუნება, ინფორმაცია ამის თაობაზე არ ვრცელდება.

ფეხმძიმე ცოლმა ქმარი ზვიგენის ყბებში სიკვდილს გადაარჩინა

აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ფლორიდა-კისის არქიპელაგის მახლობლად ფეხმძიმე ცოლმა ქმარი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა, ზვიგენის ყბებში სიცოცხლის დასრულებისგან გადაარჩინა.

ინციდენტი კვირა დილას მოხდა, როდესაც 30 წლის ენდრიუ ედი და მისი მეუღლე მარგო დიუკსი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად კერძო ნავით სეირნობდნენ. როგორც კი ენდრიუმ წყალში ჩაყვინთა, მას მხარში 2,7 მეტრი სიგრძის ზვიგენი ჩააფრინდა.

– დიუკმა ზვიგენის ზურგის ფარფლი შენიშნა. შემდეგ მის თვალწინ წყალი წითლად შეიღება. ის იმ წამსვე წყალში გადაეშვა და ენდრიუ ნავზე ამოათრია, – ნათქვამია პოლიციის ანგარიშში.

ხელისუფლების მტკიცებით, ზვიგენის თავდასხმის შედეგად ენდრიუმ სერიოზული დაზიანებები მიიღო, ამასთან მისი მეუღლე არ დაშავებულა. მამაკაცი უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას დროული სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მკვლელი ვეშაპები იახტას თავს დაესხნენ

მკვლელი ვეშაპები, კასატკები, ესპანეთის ფინისტერეს რაიონში თავს დაესხნენ ბრიტანულ იახტას.

თავდასხმის დროს იახტაზე სამი ადამიანი იმყოფებოდა: ბრიტანელი გრემ უოკერი, რომელიც იახტის მფლობელია, მისი მეუღლე და ნაცნობი. უოკერის თქმით, ის საჭესთან იდგა, როდესაც მოულოდნელად მისი ხომალდი შეტორტმანდა.

– ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა, სანამ ერთ-ერთმა ცხოველმა მარცხენა გვერდთან არ ამოყვინთა ჰაერის ჩასასუნთქად, – განაცხადა ბრიტანელმა.

თავდაპირველად იახტაზე იერიში ორმა ახალგაზრდა მკვლელმა ვეშაპმა მიიტანა, შემდეგ მათ კიდევ ერთი კასატკა შეუერთდა, რომელიც გაცილებით დიდი ზომის იყო. სამაშველო სამსახურის თანამშრომელმა, რომელსაც უოკერი დაუკავშირდა, ურჩია, იალქანი დაეშვა და ძრავა გამოერთო. მისი თქმით, ეს შეტევა 10 წუთზე მეტ ხანს არ გაგრძელდებოდა.

მიუხედავად ასეთი პროგნოზისა, ზღვის ცხოველები ადამიანებს მოსვენებას 45 წუთის განმავლობაში არ აძლევდნენ. მათი დარტყმებისგან იახტა აქეთ-იქით ქანაობდა და ადგილზე ტრიალებდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ერთ-ერთმა კასატკამ იახტის საჭის ნაწილის მოკვნეტა მოახერხა.

– არც ერთ ჩვენგანს მსგავსი რამ არასოდეს გვინახავს, – ამტკიცებს უოკერი, რომელიც შიშობდა, რომ იახტის დატოვება სამაშველო ტივით მოუწევდათ.

მივლინებაში მყოფმა მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა

ამერიკის ნევადას შტატის ქალაქ ლას-ვეგასში მივლინებით მყოფმა მამაკაცმა ჯეკპოტი მოხსნა.

ოთხშაბათს, 23 სექტემბერს, კაზინოში შესულმა მამაკაცმა, სახელად კრისტოფერმა, 437,5 ათას დოლარზე მეტი მოიგო. მან პრიზი ავტომატ „იღბლიან ბორბალზე“ თამაშის შედეგად მიიღო.

იღბლიანი მამაკაცი ლას-ვეგასში მივლინებით იყო ჩასული და იმ დღეს კაზინოში, უბრალოდ, გასართობად შევიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

საღ შეკხვდებით სომხეთს

ევროპის საფეხბურთო მმართველმა ორგანომ (უეფა) მიიღო გადაწყვეტილება, რომ ევროპის ლიგის ფლეი ოფის შეხვედრა არარატ-არმენიასა და ცრვენა ზვეზდას შორის ნეიტრალურ მოედანზე, კვიპროსში ჩაატაროს.

მიზეზი სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის არსებული კონფლიქტია, რომელიც მთიანი ყარაბაღის რეგიონში მიმდინარეობს.

აქ საინტერესო ის არის, რომ საქართველოს ნაკრები 11 ოქტომბერს ერთა ლიგის ც დივიზიონის მე-3 ტურის მატჩში სომხებს სტუმრად, ერევანში უნდა დაუპირისპირდეს.

ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სომხებისა და ქართველების დაპირისპირება ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდება. თუ სად, ჯერჯერობით უცნობია.

ბასილაშვილი სეტსაც ვეღარ იგებს

აგერ უკვე 8 თვეა, საქართველოს პირველ ჩოგან ნიკოლოზ ბასილაშვილს მატჩი არ მოუგია, უკაცრავად, მატჩი არა – სეტი.

ბოლოს ნიკას ბოლო წარმატება 25 თებერვლით თარიღდება. მართალია, შემდეგ 5 თვე პანდემიის გამო ყველა ტურნირი გაჩერებული იყო, მაგრამ კორტს მიბრუნებულმა ბასილაშვილმა ატპ-ს ეგიდით ჩატარებულ 7 ტურნირზე საწყისი 7 მატჩი ისე წააგო, სეტიც არ მოუგია. ამას დაუმატეთ 2 საგამოფენო მარცხიც და...

საშინელ ფორმაშია ქართველი ჩოგბურთელი და ეს „როლან გაროსზეც“ გამოჩნდა, სადაც ბასილაშვილმა მსოფლიოს 84-ე ჩოგან ტიაგო მონტეიროსთან (ბრაზილია) 3 სეტში წააგო – 5:7, 4:6, 2:6.

მატჩი 2 საათსა და 7 წუთში დამთავრდა. ბასილაშვილს ოჯახური პრობლემები აქვს და წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ეს უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ნაკლებად ცნობილ ჩოგბურთელებთანაც ასე არ უნდა აგებდეს.

ბართომეუს წამმზომი ჩაურთეს

ხოსეპ მარია ბართომეუს გადადგომის მოთხოვნით შეგროვებული ხელმოწერების ვალიდურობის დადგენა დაიწყო. „უნდობლობის საკითხის“ ორგანიზატორები ადასტურებენ, რომ მათ მხარდამჭერებს უკავშირდებიან და თავიანთი პოზიციის დადასტურებას სთხოვენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვალიდურობის ტესტი 3.800-მა ხელმოწერამ გაიარა. არავალიდურად 2-3% გამოცხადდა, რაც თითქმის დადასტურებულად ნიშნავს იმას, რომ ბართომეუს უნდობლობის საკითხი აღიძვრება.

იმისათვის, რომ პრეზიდენტის უნდობლობის საკითხი აღიძრას, 16.000 ხმაზე ცოტათი მეტი უნდა შეგროვდეს. ორგანიზატორებმა კი 20.000 ხელმოწერაზე მეტი წარადგინეს. ეს ნიშნავს, რომ თუ დაახლოებით 20% არავალიდურად არ ცნეს (რაც ამდროინდელი გათვლებით წარმოუდგენლად მოჩანს), ბართომეუს უნდობლობის საკითხი აღიძვრება.

ამის შემდეგ კლუბი ვალდებული იქნება, ჩაატაროს რეფერენდუმი, სადაც კლუბის წევრების 2/3-ის სურვილის შემთხვევაში, ამჟამინდელი მმართველობა კლუბს დატოვებს.

ფაქტობრივად, ბართომეუს პრეზიდენტობის წამმზომი ჩაურთეს.

ტოკიო შედგება

იაპონიის ახალ პრემიერ-მინისტრ იოსიჰიდე სუგასა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ თომას ბახს შორის სატელეფონო საუბარი შედგა.

ბახის განცხადებით, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოდ ჩატარება კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის გარეშეც შესაძლებელია.

თომას ბახი:

– ვნახეთ, რომ სპორტი ნელ-ნელა, მაგრამ სწორად ბრუნდება. ბოლო დროს წარმატებით ჩატარდა რიგი მსხვილი სპორტული ღონისძიება, მათ შორის მატჩები იაპონიის ლიგაში, ასევე ისეთი რთული შეჯიბრება, როგორიც არის „ტურ დე ფრანსი“. ასე რომ, ვაქცინის გარეშეც შეგვიძლია უსაფრთხო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება.

გარდა ამისა, სოკ-ის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ სპორტულ სამყაროს გულმოდგინე და მრავალმხრივი მუშაობა მართებს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, რადგან არავინ იცის, რა მოხდება შემდგომ ათ თვეში.

იოშირო მორი, ტოკიო-2020-ის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი:

– შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, განვიხილეთ, თუ როგორ შეიძლება უსაფრთხო და საიმედო თამაშების ჩატარება ისე, რომ ამ რთულ დროში საზოგადოება მას გაგებით მოეკიდოს. ეს პროცესი სამომავლოდ სარგებელს მოუტანს საზოგადოებას და მისაბაძი მაგალითი გახდება მომავლის გლობალური მოვლენებისთვის, რადგანაც ადამიანები ახალ ცხოვრებასთან ადაპტირდებიან. გამარტივებებისთვის დაუღალავად შრომას მომავალი წლისთვისაც გავაგრძელებთ.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

29 სექტემბერი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

უეფას ჩემპიონთა ღიგა

დინამო (კ)-გენტი	3:0
ომონია-ოლიმპიაკოსი	0:0
ფერენცვაროში-მიოლდე	0:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

სოსიედადი-ვალენსია	0:1
ხეტაფე-ბეტისი	3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ხეტაფე	3	2	1	0	4-0	7
2.ვალენსია	4	2	1	1	7-5	7
3.ბეტისი	4	2	0	2	5-6	6
4.გრანადა	3	2	0	1	5-7	6
5.სოსიედადი	4	1	2	1	4-2	5
6.სელტა	3	1	2	0	3-2	5
7.რეალი	2	1	1	0	3-2	4
8.ვილიარეალი	3	1	1	1	3-6	4
9.ატლეტიკო	1	1	0	0	6-1	3
10.ბარსელონა	1	1	0	0	4-0	3
11.სევილია	1	1	0	0	3-1	3
12.ლევანტე	2	1	0	1	5-5	3
13.ოსასუნა	3	1	0	2	3-4	3
14.ბილბაო	2	1	0	1	2-3	3
15.კადისი	3	1	0	2	3-5	3
16.უესკა	3	0	2	1	2-4	2
17.ვალიადოლიდი	3	0	2	1	2-4	2
18.ეიბარი	3	0	1	2	2-4	1
19.ალავესი	3	0	1	2	1-3	1
20.ელჩე	1	0	0	1	0-3	0

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲰᲝᲚᲪᲐᲜ ᲒᲐᲰᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲘ

პოსპიშილი-ბერეტინი	3:6,1:6,3:6
გარინი-კოლშრაიბერი	6:4,4:6,6:1,6:4
ჰარისი-პოპირინი	6:4,6:4,7:6
უმბერტი-პოლანსი	2:6,2:6,6:3,3:6
მეიო-დავიდოვიჩი	6:7,3:6,5:7
ლაიოვიჩი-მაჯერი	6:4,7:6,4:6,6:1
დერე-ანდერსონი	2:6,3:6,4:6
დელენი-ბერანკისი	1:6,4:6,4:6
ალი-ხირონი	5:7,6:3,7:6,5:7,6:8
კურეი-რუბლიოვი	7:6,7:6,5:7,4:6,3:6
ჯოკოვიჩი-იმერი	6:0,6:2,6:3
ჯონსონი-ბაენა	1:6,1:6,0:6
უტიიამა-ბალაჟი	2:6,3:6,5:7
ლააკსონენი-კუევასი	1:6,6:2,4:6,2:6
მონტეირუ-ბასილაშვილი	7:5,6:4,6:2
მუნარი-ციციპასი	6:4,6:2,1:6,4:6,4:6
შაპოვალოვი-სიმონი	6:2,7:5,5:7,6:3
ბაუტისტა აგუტი-გასკე	7:6,6:2,6:1
ბარერი-დიმიტროვი	3:6,2:6,2:6
მარტინი-სოზა	7:5,6:1,6:2

ქალები

ბრედი-ტაუსონი	4:6,6:3,7:9
ოსტაპენკო-ბრენგლი	6:2,6:1
ნიკულესკუ-კოლინზი	6:2,2:6,1:6
შერიფი-პლიშკოვა	7:6,2:6,4:6
ჰიბინო-კოსტიუკი	6:4,6:0
ბაბოში-ბოგდანი	4:6,2:6
ვან უიტვანკი-პეტერსონი	2:6,6:3,6:1
რიბარიკინა-კირსტეა	6:0,6:3
ზიგემუნდი-მლადენოვიჩი	7:5,6:3
დიასი-ჟაბერი	6:4,3:6,1:6
ვეკიჩი-ბარა	3:6,4:6
სამსონოვა-კენინი	4:6,6:3,3:6
ფერო-ყოტსონი	7:6,6:4
კოზლოვა-ჰიბერტი	2:6,6:4,3:6
გერგესი-რსიკე	6:3,6:7,6:1
სტივენსი-დიაჩენკო	6:2,6:2
მარტიჩი-დოი	7:6,7:5
კასატკინა-ტანი	6:2,6:1
სობოლენკო-პეგულა	6:3,6:1
პარმენტიე-კუდერმეტოვა	2:6,3:6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲯᲘᲮᲝᲡᲕᲝᲰᲘᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. თოჯინა „ბარბის“ მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. კარლ მარქსის თხზულება; 4. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 8. წყალქვეშა ნავის მეორე სახელწოდება; 9. შავი ფერის ალმასი; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 12. იაპონური ხის ქოშები; 14. ქართული ლუდი; 16. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სპეციალური ჩაქუჩის კაკუნით; 17. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 19. პოპულარული მაგიდის თამაში; 21. ალალბედზე მოქმედება.

თარაზულად: 5. მოხალული სიმინდი; 6. ფერწერული ტილო „მედეას“ ავტორი ფრანგი მხატვარი; 7. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 10. გურულების, აჭარლებისა და მესხების მოკლე ჩოხა; 13. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 15. ელექტროძრავების უძრავი ნაწილი; 18. მეფის მრჩეველი საქართველოში; 20. ესპანელი ჩოგბურთელი; 22. რელიგიური ცენტრი სომხეთში; 23. ფრანგული საავტომობილო ფირმა; 24. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ქუთაისი; 2. იუდოილი; 3. ბროკოლი; 5. შვეიცერი; 7. თავხედი; 9. რევოკაცია; 13. ყაზბეგი; 15. მინდია; 16. სტამბა; 18. გრილი.

თარაზულად: 4. ბუდეშური; 6. სკუდიერი; 8. კემბეჩოვანი; 10. მუხიანი; 11. ვალი; 12. ოდეონი; 14. ამური; 17. ქანდა; 19. უნაბი; 20. იმბეცილი; 21. არვე; 22. საბურთალო; 23. ზინდალი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ტრიუკი; 2. ათანელი; 3. ბერგმანი; 4. ტრიგლიტი; 8. გალაქტიკა; 9. კარიატიდა; 11. ლუტეცია; 12. ცემი; 14. ჯინი; 16. მოთხრობა; 17. მუკუზანი; 19. ყინული; 21. პენსი.

თარაზულად: 5. ჰელვეცია; 6. ტალავარი; 7. ბუკმეკერი; 10. ჩანახი; 13. ხარატი; 15. ამნეზია; 18. ტონიკი; 20. ფადიკო; 22. შინჰოფერი; 23. აბრსკილი; 24. ასათიანი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2059	ევრო — 3.7560
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1212	100 რუსული რუბლი — 4.0976

ამინდის პროგნოზი 1 ოქტომბრისათვის

ნეიმარი პსჟ-დან წასვლას არ აპირებს



ნეიმარმა თავის მომავალზე ისაუბრა და განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში პსჟ-სთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს და ამ გუნდის დატოვებას არ აპირებს. ნეიმარის თქმით, ის პსჟ-ში ბედნიერია და ახალ გამოწვევებს ელოდება:

– გასულმა სეზონმა დამარწმუნა, რომ პსჟ-ს პოტენციალი აქვს და ჩვენ ერთად შეგვიძლია, წარმატებას მივაღწიოთ. მინდა, ამ გუნდში ბევრი ტიტული მოვიგო და წასვლას არ ვაპირებ. ნეიმარს კონტრაქტი 2022 წელს უმთავრდება.

მანჩესტერ იუნაიტედი უსმან დემბელეს ყიდვას აპირებს

მანჩესტერ იუნაიტედი კიდევ ერთი ფორვარდის ყიდვას აპირებს და მისი მთავარი სამიზნე ბარსელონის ფრანგი თავდამსხმელი უსმან დემბელე იქნება, რომელმაც ცოტა ხნის ტრავმა მოიშუშა. უსმან დემბელე თავის დროზე ბარსელონამ 105 მილიონად იყიდა, ამიტომ კატალონიური გუნდი მის ტრანსფერში მინიმუმ 80 მილიონს მოითხოვს, ხოლო მანჩესტერი 65-ზე მეტის გადახდას არ აპირებს.

დემბელემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალი გამოწვევები სურს.

ბუდუ ზივზივაძე: „არ მესმის, ნაკრებში რატომ არ მიძახებენ“

ბუდუ ზივზივაძემ, რომელიც დანიაში თამაშობს, უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნაკრებში არ იძახებენ. ზივზივაძის თქმით, ის ბევრს შრომობს და საკმაოდ შედეგიანიც არის, მაგრამ ნაკრებში შანსი მაინც არ ეძლევა, რის გამოც ძალიან განაწყენებულია:

– არ მესმის, შანსს რატომ არ მაძლევენ, რადგან ვფიქრობ, რომ ეს დავიმსახურე. ძალიან მეწყინა, როდესაც გამოძახებულთა სიაში ჩემი თავი ვერ ამოვიკითხე. ვფიქრობ, სულ ტყუილად ვიკლავ თავს.

სონი, სავარაუდოდ, ერთ თვეში დაბრუნდება

ტოტენჰემის კორეელმა ფორვარდმა სონმა ლესტერთან დაპირისპირების დროს ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, დაახლოებით ერთი თვე ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას.

მოურინიომ ამის შესახებ განცხადება გააკეთა და თქვა, რომ სონის დაბრუნებას მოუთმენლად ელის:

– სამწუხაროა, რომ მან ტრავმა მიიღო, რადგან სონი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, ის ყველა სირთულეს დაამარცხებს და მალე დაგვიბრუნდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

დელფინისა და რვაფეხას ორთაბრძოლამ მეცნიერები ააღელვა

პორტუგალიის ქალაქ ალბუფეირის მახლობლად ნაცრისფერი დელფინი რვაფეხასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ჩაება და მეცნიერები გააოგნა.

წყალქვეშა სამყაროს კვლევის ასოციაციის თანამშრომლები თვითმხილველები გახდნენ დელფინისა და რვაფეხას დაპირისპირებისა, რომლის დროსაც ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველი მოლუსკის შეჭმას ცდილობდა.

– ასეთი სანახაობა დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ამიტომ ჩვენს გემზე მყოფი ყველა ადამიანი ძალიან ააღელვა ამ ყოველივემ, – ნათქვამია ფეისბუქში ასოციაციის გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში.

დელფინები რვაფეხებს თავს ესხმიან, თუმცა მათი შეჭმის პროცესის ხილვა დიდი იშვიათობაა. თუ დელფინი წყლიდან ამოყვინთავს, ეს იმას ნიშნავს, რომ რვაფეხა მას თავგანწირვით ეწინააღმდეგება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 ოქტომბრისათვის



ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. ** კურო** – დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **ტყუპები** – ჭორებს ნუ აჰყვებით. იღბლიანი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კირჩხიბი** – ენერგიულად ხართ. ისეთ საქმეებსაც კი მარტივად აგვარებთ, რომლებსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. **ლომი** – პერსპექტიული დღეა. ახალი იდეების რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. ნებისმიერი წამოწყება სასურველი შედეგით დამთავრდება. **ქალწული** – საკმაო სირთულეები შეგხვდებათ. შესაძლოა, ვალის დაბრუნება და ხელახლა აღება მოგიხდეთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. უმჯობესია, თუ ჯერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებთ. **ღრიანკალი** – არ გარისკოთ. ყველა საქმე მომდევნო კვირისათვის გადადეთ. დაეხმარეთ ბავშვებსა და მეგობრებს. **მშვილდოსანი** – გამორიცხული არ არის, საქმიან შეხვედრაზე გაემგზავროთ ან შემოქმედებითი არეალი გაიფართოვოთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – საქმიანი პარტნიორები იმედს გაგიცრუებენ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **მერწყული** – აქტიური, ნაყოფიერი დღეა. ნებისმიერი პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. იყავით გონიერი და წინდახედული. **თევზები** – ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, რას მეტყვით ჩემი ანალიზების შედეგებზე?

– ვირუსული ბაზა წარმატებით არის განახლებული...

•••

ხანშიშესული ცოლ-ქმარი მაგიდასთან ზის და სადილობს. ამ დროს ცოლი ქმარს ეკითხება:

– გივი, თუ შეგიძლია, მითხარი, ისევ გიყვარვარ?

– ქალო, შეგიძლია ამიხსნა, რა ჯანდაბად იწყებ ყოველ დილას სკანდალით?

•••

შვილიშვილი ბებიას ეკითხება:

– ბებო, მზეს ფეხები აქვს?

– რა თქმა უნდა, არა. და რატომ მეკითხები?

– ღამე გავიგონე, როგორ უთხრა მამამ დედას: „ფეხები გადაშალე, ჩემო მზეო!“

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, რომ კალმარებს, როდესაც იბადებიან, ტვინი აქვთ, მაგრამ შემდეგ იმის გამო, რომ არაფერში სჭირდებათ, უქრებათ.

– მართლა? ღმერთო, აბა, ნახევარი ქვეყანა კალმარები გვყოლია...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

აკაკი წერეთლის 180 წლის იუბილე კონცერტით აღინიშნება

პოეტისა და მწერლის აკაკი წერეთლის 180 წლის იუბილე 3 ოქტომბერს კონცერტით აღინიშნება.

უდიდესი მგოსნის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო საჩხერეში, სოფელ სხვიტორში, შემოქმედის მშობლიურ სახლ-მუზეუმში ჩატარდება.

პიანისტი ლევან შენგელია მუსიკოსებთან ერთად შეკრებილ მსმენელს კონცერტზე სახელწოდებით „ჯადოსნური ღამე“ ეპატიჟება.

ანკა ვასაძე და ნიკა ლომიძე ერთობლივ გადაცემას წაიყვანენ

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ბოლო სეზონის გამარჯვებული მსახიობი ანკა ვასაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში ახალ გადაცემას წაიყვანს.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ნიკა ლომიძესთან ერთად გადაცემა „დიდი ამბის“ წამყვანია. მხიარული შოუ ეთერში 3 ოქტომბერს გავა და ყოველ შაბათს ცნობილ ადამიანებს უმასპინძლებს.

პირველი გადაცემის სტუმრები არიან ლევან (ჭოლა) წულაძე, თინათინ წულაძე, არჩილ არველაძე, გიორგი ცაგარელი და გიორგი გიგაშვილი.

თამრიკო სხვიტარიძე: „ბასტი ბუბუს“ საქმე გადაეცემა სასამართლოს!“

ასეთ განცხადებას ავრცელებს ინტერნეტში „ბასტი ბუბუს“ ხელმძღვანელი თამრიკო სხვიტარიძე:

– კორონავირუსმა, ყველასთან ერთად, დააზარალა ბავშვების საყვარელი ბასტი ბუბუც!

მეათე თვეა, ბავშვები ვერ დადიან სტუდიაში, საიდანაც აქვს ბასტი ბუბუს ძირითადი შემოსავალი.

უხელფასოდ არის 60 თანამშრომელი, რომლებიც თავიანთი საქმის უმაღლესი კლასის სპეციალისტები არიან.

ასევე, ბასტი ბუბუ ვერ იხდის იჯარის თანხას, რომელსაც 30 წლის განმავლობაში პირნათლად უხდიდა სახელმწიფო ორგანიზაცია „ახალგაზრდობის სააგენტოს“!

ბევრი მიწერ-მოწერის, პირადი და ვირტუალური შეხვედრების შემდეგ ახალგაზრდობის სააგენტომ გუშინ ბასტი ბუბუს მისცა ერთ კვირის ვადა, რათა დაფაროს 130.000 ლარის ოდენობის იჯარის ვალი, რომელიც კორონავირუსის გამო დაუგროვდა და რომლის გადახდის არანაირი ფინანსური საშუალება ბასტი ბუბუს ამ ეტაპზე არ გააჩნია!

ერთი კვირის შემდეგ კორონავირუსით დაზარალებული ბასტი ბუბუს საქმე გადაეცემა სასამართლოს!

ეს ის შემთხვევაა, როცა საქმის ვითარება სასაცილოც არის და სატირალიც!

პ.ს. ნეტავ, როგორ მოიქცევა სახელმწიფო, სასამართლო, ხალხი, რომელსაც უყვარს ბასტი ბუბუ და როგორ ჩაიწერება ეს წლები ბასტი ბუბუს ისტორიაში, რომელიც უკვე საქართველოს ბავშვების საყვარელი 30-წლიანი ბრენდია.

დაველოდოთ საქმის განვითარებას. ვითვალისწინებთ ხალხის დიდ ინტერესს და ამიტომ დღეიდან ამ საქმის განვითარების ყველა დეტალი საჯარო გახდება!

მცხეთის მუზეუმის რეაბილიტაცია დასრულდა

მცხეთის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ნიკა ანთიძემ გაავრცელა:

– 2014 წლიდან მრავალი ადამიანისა თუ უწყების თავდაუზოგავი შრომის შედეგი, სააგენტოს, მცხეთის მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია დასრულდა.

მიმდინარეობს მუზეოგრაფიის პროექტის მომზადება. ყველას დიდი მადლობა ამ არაჩვეულებრივი საქმისთვის.

სანდრო გეგეჭკორი: „არ მინდა, რომ დავტოვო ჩემი მშობლიური კონსერვატორია და პროფესორი“



აცხადებს პიანისტი სანდრო გეგეჭკორი და კოვიდსიტუაციის გამო შეჩერებულ კულტურულ ცხოვრებას აპროტესტებს:

– უდიდესი პიანისტი, ალექსანდრე გავრილუკი, რომელთანაც მასტერკლასი მქონდა და კონცერტზე მომისმინა ამსტერდამში, მიწვევს მასთან კლასში სასწავლებლად, რაც ბევრისთვის დიდი პატივია.

თუმცა, სამწუხაროდ, დღევანდელი კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე, წელს და, სავარაუდოდ, მომავალ წელსაც არაფერი არ იქნება.

არ მინდა, რომ დავტოვო ჩემი მშობლიური კონსერვატორია და პროფესორი. მესმის, ასეთი მოწვევა კიდევ ბევრი იქნება, მაგრამ! მე უნდა მივაღწიო, იმას, რომ აქედან მეტად გავიდე მსოფლიო ასპარეზზე, ხოლო თუ არ გამომივა, შემდეგ აუცილებლად ვცდი ბედს უცხოეთში.

დიდი მადლობა ამ დიად პიანისტს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ქართული ჩაი; 2. კუთხე საქართველოში; 3. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 5. ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ქაღალდის ფულზე; 7. მგალობელი ჩიტი; 9. „ფიფას“ პრეზიდენტი; 13. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 15. პოპულარული კურორტი შვეიცარიაში; 16. შხამიანი გველი; 18. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 4. ცბიერი, ვერაგი ადამიანი; 6. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი შინაარსი; 8. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 10. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 11. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 12. საგარანტიო წერილი, რომელიც თან ახლავს ფინანსურ ხელშეკრულებას; 14. უზენაესი ღვთაება სკანდინავიურ მითოლოგიაში; 17. ვრცელი, უტყეო, ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 19. ფუტკრის მიერ გამომუშავებული მოყვითალო ფერის ნივთიერება; 20. მძლავრი შეიარაღების მქონე დიდი სწრაფმავალი სამხედრო გემი; 21. ნორვეგიის დედაქალაქი; 22. სპარსელ დამპყრობელთა სახელწოდება საქართველოში; 23. უბანი თბილისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა